

მაჟორიტარი, მეოთხე მთავრობა და ძველი პრობლემები A2



"ფრინველის გრიპის" ვირუსთან ბრძოლას შედეგი ჯერჯერობით არ მოაქვს A3



"გულახდილად" A4


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 5 ნოემბერი, 2005 წელი. №246 (1106) | ფასი 50 თეთრი


## ამბები

### ოქტომბერში საქართველოში ინფლაციის დონე გაიზარდა

მიმდინარე წლის ოქტომბერში, სექტემბერთან შედარებით, ქალაქების მიხედვით სამომხმარებლო ფასების ზრდა დაფიქსირდა თელავში 3,0 პროცენტით, ქუთაისში - 2,2 პროცენტით, თბილისში - 1,6 პროცენტით, გორში - 1,4 პროცენტით, ხოლო ბათუმში - 0,9 პროცენტით.

A2

## სამართალი

### გამოცხადდება თუ არა დაკითხვაზე რუსთავის ყოფილი მერი?

ქვემო ქართლის მხარის პროკურორი შოთა რეხვიაშვილი საკმაოდ გაღიზიანებულია მედიის ინტერესით, რომელიც რუსთავის ყოფილი მერის მერაბ ტყეშელაშვილის პროკურატურაში ოფიციალურად დაბარებამ გამოიწვია. მისი თქმით, არაფერი განსაკუთრებული არ ხდება და ეს ტყეშელაშვილის პირველი დაკითხვა არ არის.

A5

## რევიუ

### ქართველების "აიდას" იტალიელი დანიელე აჯიმანი უდირიჟორებს



დანიელე აჯიმანის დირიჟორობით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი მხოლოდ ერთხელ, 8 ნოემბერს დაუკრავს. სოლისტები იქნებიან მაყვალა ასპანიძე (აიდა), გიორგი ონიანი (რადამესი), ელენა პუტილოვა (ამნერისი), სულხან გველესიანი (ამონასრო), ომარ ხოფერია, ტარიელ ჭიჭინაძე, ნინო ჩაჩუა და თამაზ საგინაძე.

A8

## ამინდი

| | 5/11 | 6 /11 |
|---|---|---|
| თბილისი | 14 | 15 |
| ტყიბული | 18 | 16 |
| სოხუმი | 18 | 17 |
| დმანისი | 7 | 7 |
| გორი | 11 | 11 |
| ონი | 9 | 8 |
| ზუგდიდი | 20 | 18 |
| ახმეტა | 13 | 14 |
| გაგრა | 16 | 16 |
| სამტრედია | 19 | 18 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7950 |
| ევრო | 2.1439 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1707 |
| რუბლი | 0.0629 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| კვირა | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# ადგილობრივი თვითმმართველობის კანონპროექტი - ნაბიჯი წინ თუ უკან?

*საპარლამენტო ოპოზიციის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტი პლენარულ სხდომაზე მაინც განიხილება.*

ნანა ქადაგიშვილი

"აღნიშნული კანონპროექტის განხილვა ცენტრალური ხელისუფლების დაკვეთით დაჩქარდა, რათა პროექტის ალტერნატიული ვარიანტების წარდგენა ვერ მოესწროს. კანონის იმ მოდელის მიღება კი, რომელიც პლენარულ სხდომაზე გავა, ქვეყნისთვის უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება," - აცხადებს ოპოზიცია.

იმაზე აღარავინ დავობს, რომ საქართველოში დღეს არსებული თვითმმართველობის მოდელი შესაცვლელია. ჩვენს დღევანდელობას რეალურ თვითმმართველობასთან საერთო ბევრი არაფერი აქვს. კანონით არ რეგულირდება ელემენტარული პრობლემები - გასამიჯნია ქონება, კომპეტენციები... რაიონული გამგეობებისა და მოსახლეობის მიერ არჩეული საკრებულოების საქმიანობა, ხშირ შემთხვევაში, არაკოორდინირებული და წინააღმდეგობრივია. დღემდე არ ჩამოყალიბებულა ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის პრინციპები. ადგილობრივი თვითმმართველობის სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე წინა ხელისუფლება მხოლოდ ლაპარაკობდა. ახალმა ხელისუფლებამ ამ მხრივ რეალური ნაბიჯები მალევე გადადგა, შეუერთდა თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას, რაც მას თვითმმართველობის კანონმდებლობის დახვეწას ავალდებულებს, და შექმნა სახელმწიფო კომისია, რომელსაც საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტზე მუშაობა დაევალა.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის ალტერნატიული ვარიანტები "მემარჯვენეებმა" და არასამთავრობოთა კოალიციამაც მოამზადეს. მაგრამ მომავალ კვირას, პარლამენტის სხდომაზე, ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის მხოლოდ ერთი,

გაგრძელება A2 გვერდზე

# ჩვენი დროის სინამდვილე და "ვეფხისტყაოსნის" საიდუმლო

რუსთაველის თეატრი პრემიერებით იხსნება

სოფო კილასონია

*უკვე მთელმა თბილისმა შეიტყო, რომ სამწლიანი პაუზის შემდეგ რუსთაველის თეატრი იხსნება. ამ სამი წლის მანძილზე რობერტ სტურუამ და მისმა დასმა სამი სხვადასხვა თეატრის სცენაზე სცადეს დროებით დაბინავება, თუმცა, მყუდროდ ვერსად იგრძნეს თავი. თეატრის მოყვარულ საზოგადოებას აკადემიური თეატრების რეპერტუარი და მათი წარმოდგენები მართლაც ძალიან მოენატრა. ამიტომ რუსთაველზე ნებისმიერი გამვლელი ინტერესით უყურებს თეატრის ცარიელ მინებს და მოსალოდნელ აფიშას ელის. თეატრის რემონტი რა ხანია დასრულდა, მისი პრეზენტაციაც დიდი ზარზეიმით გაიმართა, მაგრამ საპრემიერო სპექტაკლი და მისი წარმოდგენის დღე აგერ უკვე მერამდენედ შეიცვალა.*

გაგრძელება A7 გვერდზე



# აზერბაიჯანის ხელისუფლება მზადაა არეულობების აღსაკვეთად

თუმცა, საინტერესოა, რამდენად არის მზად თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად

ნიკა თარაშვილი

აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა მინისტრის რამილ უსუბოვის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ კვირას, აზერბაიჯანის საპარლამენტო არჩევნების დროს არეულობას ექნება ადგილი - ხელისუფლება ადეკვატურ ზომებს მიიღებს.

**"ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ გარკვეული ძალები დაინტერესებულნი არიან არჩევნების დროს მასობრივი არეულობის ორგანიზაციით. უკანასკნელ დღეებში უკვე იყო ვითარების დაძაბვის მცდელობა, თუმცა, ჩვენ ადეკვატურ ზომებს ვახორციელებთ,"** - განაცხადა უსუბოვმა რუსულ საინფორმაციო სააგენტო "რია ნოვოსტისთან" ინტერვიუში.

გაგრძელება A3 გვერდზე



*რამილ უსუბოვი: ას პოლიციელსაც კი შეუძლია არეულობის აღკვეთა და მრავალათასიანი ბრბოს შეჩერება.*

# არის კი მინისტრის საქმე დარაჯის მოხსნა?

*"4 ნოემბერს 14 საათზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია 126-ე სკოლაში გააკეთებს განცხადებას ამავე სკოლაში მომხდარი კრიმინალური ფაქტის გამო: დაკარგულია 16 უახლესი კომპიუტერი, რომელიც სკოლას პროგრამა "ირმის ნახტომის" ფარგლებში გადაეცა," - იუწყებოდა სამინისტროს პრესრელიზი.*

დალი კუპრავა

126-ე სკოლიდან 4 ოქტომბრის ღამეს 16 კომპიუტერი მოიპარეს. მძარცველები პირველი სართულიდან ავიდნენ მეორე სართულზე, მეზობელი საკლასო ოთახიდან მოხსნეს ნათურა, დერეფანი გაანათეს და "კომპიუტერული კლასის" საკეტი გახსნეს. შემდეგ, ალბათ, კომპიუტერები გაიტანეს, რადგან დილაადრიან სკოლის დირექტორს დარაჯმა აცნობა, კომპიუტერები მოიპარესო. დირექტორმა პატრული გამოიძახა, პატრულმა - კრიმინალური პოლიცია.

14.00 საათზე სკოლაში მისულმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნახა გაძარცული ოთახი, მოისმინა ფაქტით შეწუხებული, სკოლის თანამშრომლების ნაამბობი, თუ როგორ განიცდიდნენ ბავშვები მომხდარს. შემდეგ კი სახალხოდ "განაჩენიც" გამოიტანა: დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მაია ბლიაძე და, როგორც ზღაპარში იტყვიან, გაუჩინარდა.

"ეს არ არის მინისტრისთვის შესაფერისი ნაბიჯი..." "ქვეყანაში რამდენი მძიმე დანაშაული ხდება და ასეთი სწრაფი დამსჯელი ოპერაცია არ ჩაუტარებიათ"... "მინისტრმა ჩვენთან საუბარიც არ ინება, რათა აგვეხსნა, რომ დირექტორი არაფერ შუაშია"... "თვითონ შეამოწმეს ოთახის უსაფრთხოება და ისე დადგეს კომპიუტერები"... "დირექტორი კი არა, დარაჯია მოსახსნელი, მოვალეობა რომ ვერ შეასრულა..."

"ჩვენ არ გავჩერდებით და გავაპროტესტებთ მინისტრის გადაწყვეტილებას"...

გაგრძელება A2 გვერდზე

# მორიგი საკადრო ცვლილებები

მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა მინისტრთა კაბინეტის მიმართ გარკვეული პრეტენზიები გამოთქვა, თანამდებობას ტოვებს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ეთერ ასტემიროვა. ოფიციალურ წყაროზე დაყრდნობით, თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება ასტემიროვამ ორი დღის წინათ, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან კონსულტაციის შემდეგ მიიღო.

ასტემიროვას განცხადებით, ის თანამდებობიდან სამინისტროში მიმდინარე რეორგანიზაციის გამო გადადგა. იგი კატეგორიულად უარყოფს იმ ბრალდებებს, რომელიც ლტოლვილთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდას უკავშირდება. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა ეთერ ასტემიროვას რამდენიმე თვის წინ უსაყვედურა.

**"ჯერ არ ვიცი, სად წავალ, თუმცა ვიცი, რომ ამ სამინისტროს დიდ მეგობრად დავრჩები. ხევიაშვილთან საუბარი არ მქონია, მაგრამ მას, როგორც ჩვენი გუნდის წევრს, კარგად ვიცნობ. რაც შეეხება მონაცემთა ბაზის ხელოვნურად გაზრდას, ეს არ შეესაბამება სიმართლეს. სამინისტროში ყოველდღე შემოდიოდა განცხადებები და მუდამ ხდებოდა ამ ბაზის გადამოწმება. ჩვენ ბევრი დარღვევა აღმოვაჩინეთ და პროკურატურას გადავეცით,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ეთერ ასტემიროვამ. თუ რა სახის რეორგანიზაცია მიმდინარეობს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში, ჯერჯერობით არ ხმაურდება.

შეგახსენებთ, რომ ეთერ ასტემიროვა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად 2004 წლის 1 იანვარს დაინიშნა.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის გამოთავისუფლებულ ადგილს, სავარაუდოდ, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ხევიაშვილი დაიკავებს. როგორც ხევიაშვილი აღნიშნავს, ასეთი შეთავაზება მან საქართველოს პრეზიდენტისგან პირადი შეხვედრის დროს მიიღო.

გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა თანამდებობა დატოვოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ვლადიმერ ჭიპაშვილმაც.

ამის მიზეზად პრეზიდენტის მიერ ჭიპაშვილის მიმართ გამოთქმული პრეტენზია სახელდება. პრეზიდენტის თქმით, ჯანდაცვის მინისტრი სატელეფონო ზარებს არასდროს პასუხობს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ვაჟა ადამია ჯერ არ დაუკითხავთ

*მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრები საზოგადოების თავმჯდომარის დაკავების ფაქტს პროვოკაციად, მერაბ კოსტავას საზოგადოებისა და მისი თავმჯდომარის დისკრედიტირების მცდელობად მიიჩნევენ. გუშინ მათთან ერთად პრესკონფერენცია გამართეს დაკავებული ვაჟა ადამიას ადვოკატებმა.*

**"ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი, ჯერჯერობით, ეჭვმიტანილის სტატუსით არ დაუკითხავთ"**, - განაცხადეს ვაჟა ადამიას ადოკატებმა ზაზა ბუაჩიძემ და მაკა გოგოხიამ. მათივე თქმით, მომხდარის გამო ამ დროისთვის სისხლის სამართლის საქმე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისა და ხულიგნობის მუხლით (239-ეს მე-3 ნაწილი) არის აღძრული. ეს მუხლები სამიდან შვიდ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, ექსპერტიზის პასუხების შემდეგ, გამოძიება დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლას არ გამორიცხავს.

როგორც ცნობილია, სამართალდამცველები ვაჟა ადამიას მის ბინაში უკანონოდ შეყვანილი ელექტროსადენების ჩასაჭრელად მისული "თელასის" თანამშრომლის ავთო ზარნაძის ფეხში დაჭრას აბრალებენ. "თელასის" ინფორმაციით კი, დაჭრილია კომპანიის კიდევ ერთი თანამშრომელი კახა ქათამაძე, რომელსაც დაზიანება თავის არეში აქვს მიყენებული, რადგან, როგორც "თელასის" თანამშრომლები აცხადებენ, მას ადამიამ იარაღის ტარი თავში ჩაარტყა.

მერაბ კოსტავას საზოგადოების გამგეობის წევრის დავით კუპრეიშვილის განცხადებით, "თელასის" თანამშრომლები, რომლებზე თავდასხმის გამოც დააკავეს ვაჟა ადამია, ზანდუკელის ქუჩაზე უკანონო სადენებს ამოწმებდნენ. მათ შენიშნეს ერთ-ერთი სადენი, რომელიც პედაგოგიკის ინსტიტუტის შენობის თავზე გადადიოდა და ადამიას სახლთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

გაგრძელება A5 გვერდზე

## ოქტომბერში საქართველოში ინფლაციის დონე გაიზარდა

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2005 წლის ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოში ინფლაციის დონემ 1,7 პროცენტი შეადგინა. შედარებისათვის: 2004 წლის ოქტომბერში ინფლაციის დონე 1,6 პროცენტი იყო, ხოლო 2003 წლის ოქტომბერში, პრაქტიკულად, ფასების საერთო დონე არ შეცვლილა.

მიმდინარე წლის ოქტომბერში, სექტემბერთან შედარებით, ქალაქების მიხედვით სამომხმარებლო ფასების ზრდა დაფიქსირდა თელავში 3,0 პროცენტით, ქუთაისში - 2,2 პროცენტით, თბილისში - 1,6 პროცენტით, გორში - 1,4 პროცენტით, ხოლო ბათუმში - 0,9 პროცენტით.

აღნიშნულ პერიოდში ფასების საერთო დონის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სურსათზე და თამბაქოს ნაწარმზე ფასების ზრდამ. კერძოდ, სურსათზე ფასების საერთო დონე გაიზარდა 2,8 პროცენტით; მათ შორის, გაძვირდა შაქარი და სხვა საკონდიტრო ნაწარმი 8,9 პროცენტით, ბოსტნეული და ბაღჩეული - 7,0 პროცენტით, ხორცი და ხორცის პროდუქტები - 5,3 პროცენტით, ხილი - 1,5 პროცენტით, რძე, ყველი და კვერცხი - 1,3 პროცენტით, ხოლო თევზეული - 0,7 პროცენტით.

ამასთან, ოქტომბერში, სექტემბერთან შედარებით, სამომხმარებლო ფასები გაიზარდა თამბაქოს ნაწარმზე 8,6 პროცენტით, რამაც ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ჯგუფზე 6,7-პროცენტიანი ზრდა გამოიწვია. კერძოდ, იმპორტული ფილტრიანი სიგარეტი გაძვირდა 10,3 პროცენტით, ადგილობრივი ფილტრიანი სიგარეტი - 2,8 პროცენტით, ხოლო ადგილობრივი უფილტრო სიგარეტი - 2,9 პროცენტით.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის ოქტომბერში, წინა თვეებისგან განსხვავებით, სამომხმარებლო ფასები შემცირდა ბენზინზე და სხვა ნავთობპროდუქტებზე. საშუალოდ ქვეყანაში ბენზინი გაიაფდა 6,8 პროცენტით; მათ შორის, თბილისში - 8,4 პროცენტით, გორში - 9,1 პროცენტით, თელავში - 5,1 პროცენტით.

2005 წლის სექტემბერში, 2004 წლის დეკემბერთან შედარებით, ინფლაციის დონემ 2,9 პროცენტი შეადგინა. შედარებისათვის: 2004 წლის ათ თვეში ფასების საერთო დონე გაიზარდა 2,6 პროცენტით, ხოლო 2003 წლის ათ თვეში - 1,9 პროცენტით.

მიმდინარე წლის ათ თვეში ფასების საერთო დონე მნიშვნელოვნად განსაზღვრა ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე (21,9 პროცენტით), შაქარსა და სხვა საკონდიტრო ნაწარმზე (11,2 პროცენტით), ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე (32,0 პროცენტით), ტრანსპორტზე (9,9 პროცენტით), სასტუმროებში, კაფეებსა და რესტორნებში (7,4 პროცენტით) სამომხმარებლო ფასების მნიშვნელოვანმა ზრდამ.

*24 საათი*

## მაჟორიტარი, მეოთხე მთავრობა და ძველი პრობლემები

### პარლამენტის თავმჯდომარე ქუთაისის საბიუჯეტო პრობლემებს საგანგებო მოსმენაზე განიხილავს

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი ნინო ბურჯანაძე რიგით მეოთხე ხელისუფლებასთან ერთად იწყებს ქუთაისში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმუხტვას. როგორც აღმოჩნდა, ბურჯანაძის იგივე ძალისხმევამ ქუთაისის წინა სამ მთავრობასთან ერთად ბევრი ვერაფერი ხეირი მოუტანა ქალაქს.

**"სამწუხაროდ, 2005 წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა, რომ ბევრი რამ სრული მასშტაბით განხორციელებულიყო ქუთაისში,"** - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ მშობლიურ ქალაქში ვიზიტისას.

გაცილებით სავალალო შეიძლება აღმოჩნდეს ქუთაისისთვის 2006 წელი. ამის თაობაზე ნინო ბურჯანაძემ ორიოდე დღის წინ შეიტყო, როცა ფინანსთა სამინისტრომ პარლამენტში 2006 წლის ბიუჯეტის პროექტი წარადგინა. როგორც გაირკვა, მომავალი წლის ქვეყნის მთავარი საფინანსო გეგმა ქუთაისისთვის ფინანსურ დახმარებას, იგივე ტრანსფერტს, არ ითვალისწინებს.

**"ეს ქუთაისის ყოფილი ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურმა დამოკიდებულებამ გამოიწვია თავის დროზე, როცა ბიუჯეტი წარდგა ფინანსთა სამინისტროში, სადაც მათ უბრალოდ ვერ დაამტკიცეს, რისთვის რა სჭირდებოდათ. ჩვენ ეს მძიმე მემკვიდრეობა უნდა გამოვასწოროთ,"** - აცხადებს ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიგა ჩოგოვაძე "24 საათთან" საუბარში.

**"ქუთაისის ბიუჯეტი 2 მილიონით ნაკლები აღმოჩნდა ხარჯებში, რამაც სერიოზული პრობლემების წინაშე დაგვაყენა,"** - აღნიშნავს მხარის რწმუნებული აკაკი ბობოხიძე.

საქმე ის გახლავთ, რომ ქუთაისის 2006 წლის მთავარი საფინანსო გეგმა ფინანსთა სამინისტროში მიმდინარე წლის ივლისის თვეში წარადგინა ქალაქის მთავრობამ. ქუთაისის მერიას მაშინ ბესიკ გულორდავა ხელმძღვანელობდა. ქუთაისის შემოსავლები წლიწადში მხოლოდ 11 მილიონს ითვლის, ხარჯები კი შემოსავლებს მნიშვნელოვნად სჭარბობს. სხვაობა დაახლოებით 2 მილიონ ლარს შეადგენს.

**"ჩვენ, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, დეტალურად განვიხილეთ ქუთაისის ბიუჯეტი. ის იმდენად მინიმალური ხარჯებითაა გაკეთებული, რომ პრაქტიკულად წარმოუდგენელია მათზე რამეს დაკლება. ეს ბიუჯეტი ქალაქის მინიმალურ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს. გარდა იმისა, რომ ძალიან მძიმეა სოციალური მდგომარეობა ქუთაისში, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის ქვეყნის მეორე ქალაქი და ქალაქს სჭირდება კულტურული კერები,"** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე "24 საათთან" საუბარში.

მაჟორიტარი დეპუტატის ძალისხმევით, მიმდინარე წლის ბიუჯეტში ქუთაისს ცენტრალური ხელისუფლებიდან ხუთმილიონიანი დახმარება ხვდა წილად, რომელიც ქალაქში გზების რეაბილიტაციასა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას მოხმარდა.

**"პრეზიდენტი საგანგებოდ მესაუბრა და მითხრა, რომ 2006 წელს ჩვენი მთავარი პრიორიტეტი სწორედ ქუთაისი იქნება. პრეზიდენტიც და პრემიერ-მინისტრიც საქმის კურსში არიან, რომ პრობლემა შეიქმნა ქუთაისის 2006 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით და ელოდებიან დამატებით წინადადებებს, არგუმენტირებულს ჩვენი მხრიდან, რომ ცვლილებები შევიდეს ქვეყნის ბიუჯეტში. ცვლილებები აუცილებელია, რათა ქუთაისში რეალური ძვრები მოხდეს,"** - აცხადებს ბურჯანაძე.

არგუმენტირებული წინადადებების შესამუშავებლად პარლამენტის თავმჯდომარე ოთხშაბათს საგანგებო მოსმენას გამართავს, ქუთაისის ხელისუფლების, ფინანსთა სამინისტროსა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წარმომადგენლების მონაწილეობით.

ქუთაისისა და მხარის ყოფილი მთავრობის შეცდომების გასწორების კვალდაკვალ, მაჟორიტარმა დეპუტატმა წინამორბედებთან ერთად წამოწყებული ერთი პროექტიც დააგვირგვინა. 4 ნოემბერს ქუთაისში დასავლეთ საქართველოში პარლამენტის წარმომადგენლობა და სახელმწიფო მოსამსახურეთა რეგიონული სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა. წარმომადგენლობა და ცენტრი სახალხო დამცველის ქუთაისის ოფისში განთავსდა და საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. ამიტომ საზეიმო გახსნას, ბურჯანაძესთან ერთად, სახალხო დამცველი სოზარ სუბარი და UNDP-ის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე სოფია კორონდო დაესწრნენ.



*ნინო ბურჯანაძე ქუთაისის რიგით მეოთხე ხელისუფლებასთან ერთად იწყებს ქუთაისში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმუხტვას.*

## მოკლედ

### კონტროლის პალატა საგარეო უწყებაში

კონტროლის პალატამ სალომე ზურაბიშვილს საგარეო უწყებაში საქმიანობისას დაშვებული დარღვევები აღმოუჩინა. გავრცელებული ინფორმაციით, მასალები რეაგირებისთვის, შესაძლოა, გენერალურ პროკურატურას გადაეცეს.

აღნიშნული განცხადება, კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილემ იაშა მესხიამ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე მაშინ გააკეთა, როდესაც კომიტეტი საგარეო უწყების მიერ 2005 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს იხილავდა.

როგორც კომიტეტის სხდომაზე იაშა მესხიამ აღნიშნა, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ არამიზნობრივად გაიხარჯა 11 000 ლარი, რომელიც ტელეჟურნალისტების სამივლინებო ხარჯებს მოხმარდა. მესხიას განცხადებით, ეს არის ბიუჯეტის სისტემების შესახებ კანონის დარღვევა. გარდა ამისა, მესხიას თქმით, საგარეო უწყებამ დაახლოებით 132 000 ლარის ხარჯი გასწია იმისათვის, რომ ტრანსპორტი შეეძინა, მაგრამ აღნიშნული განახორციელა კანონის დარღვევით, ყოველგვარი ტენდერის გარეშე.

როგორც კოტე გაბაშვილმა განაცხადა, ეს ისეთი სახის დარღვევები არ არის, რომლის გამოც შეიძლება, კომიტეტმა მინისტრის დასჯა მოითხოვოს, თუმცა აუცილებელია, რომ ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა წინამორბედის შეცდომები აღარ დაუშვას.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის განცხადებით კი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტისთვის გამოყოფილი გარკვეული თანხა ამ 6 თვის განმავლობაში აუთვისებელი დარჩა.

კოტე გაბაშვილის თქმით, აღნიშნული დარღვევები ნიშნავს იმას, რომ სამინისტროში მუშაობდა პიროვნება, რომელიც უკანონო პიარს ახორციელებდა და ჟურნალისტები მივლინებაში სამინისტროს ხარჯებით დაჰყავდა.

"განვითარდა მიჩვეული პირების მოფერების სქემები და ჩვენ ვნახეთ, ამან რა შედეგი გამოიღო," - აღნიშნა კოტე გაბაშვილმა.

*ინტერპრესნიუსი*

## წინანდალში საპროტესტო აქციები გრძელდება

უკვე ერთი კვირაა, წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმთან მოსახლეობის ერთი ნაწილი საპროტესტო აქციებს მართავს. ისინი მუზეუმისა და მისი კუთვნილი ბაღის კერძო პირისთვის იჯარით შესაძლო გადაცემას აპროტესტებენ. მოსახლეობა მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მიერ მუზეუმის გასხვისება ჭავჭავაძეების მამულს განადგურების საშიშროებას შეუქმნის.

როგორც კახეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე თემურ ლამაზოშვილი აცხადებს, მოსახლეობის საპროტესტო შეკრებებს ორგანიზებას ადგილობრივი ოპოზიციური ძალები უკეთებენ.

**"კახეთის რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლება რამდენჯერმე შევხვდით აქციის მონაწილეებს და ავუხსენით, რომ ჭავჭავაძეების მამულის კერძო პირისთვის დროებით გადაცემა მის განადგურებას არ ნიშნავს. მიგვაჩნია, რომ მუზეუმისა და წინანდლის ცნობილი ბაღის არსებობას ახლა, ამ დაუფინანსებლობის პირობებში მეტი საშიშროება ემუქრება, ვიდრე მაშინ, თუ კერძო პირი იქ ინვესტიციას განახორციელებს. მით უმეტეს, რომ სახლ-მუზეუმი და ბაღი ფუნქციას და გარეგნობას არ შეიცვლის,"** - განაცხადა თემურ ლამაზოშვილმა.

სიტუაციის დასამშვიდებლად გუშინ წინანდალში ეკონომიკის მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე ჩავიდა. როგორც მან მოსახლეობას განუცხადა, იჯარა არ ეხებოდა მუზეუმის შენობას, მთლიანობაში კი, წინანდალში მდებარე სახელმწიფო ქონების გასხვისება ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს. თუმცა, ამის მიუხედავად, წინანდლის მოსახლეობამ აქცია არ შეწყვიტა. მათი მოთხოვნა უცვლელი იყო.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ თელავის რაიონში, სოფელ წინანდალში მდებარე სახელმწიფო ქონების 49 წლის იჯარით გაცემის თაობაზე კონკურსი ოქტომბრის დასაწყისში გამოაცხადა. იჯარით გასაცემი შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი 22 485 კვ.მ და მასზე დამაგრებული მიწა 178 963 კვ.მ-ია. მათ შორის - ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელობის სახლ-მუზეუმი, სასტუმრო სახლი, სასადილო, ადმინისტრაციული შენობა, ღვინის ქარხანა. წლიური საიჯარო ქირის საწყისი ფასი 70 000 დოლარით განისაზღვრა. ეკონომიკური განვითარების სამინისტროში დაინტერესებულ პირთათვის განცხადებების მიღება 8 ნოემბრამდე გაგრძელდება, კონკურსი კი 9 ნოემბერს გაიმართება.

*24 საათი*

## არის კი მინისტრის საქმე დარაჯის მოხსნა?

პირველი გვერდიდან

ოქტომბრის შუა რიცხვებში თბილისის 126-ე სკოლაში შეიტანეს კომპიუტერები. "ნუ ჩამითვლით თავის ქებად და ეს ჩემი პროექტის წყალობით მოხდა, რომ ჩვენთან პირველ რიგში შემოიტანეს კომპიუტერები. ხუთის ნაცვლად, თექვსმეტი, რადგან ჩვენი სკოლა საბაზო უნდა ყოფილიყო და აქ ჩატარებულიყო ტრენინგები ინფორმატიკის მასწავლებლების მოსამზადებლად," - განაცხადა სკოლის უკვე ყოფილმა დირექტორმა.

ბოლო დღეების ინფორმაციით, საქართველოს რამდენიმე სკოლიდან კომპიუტერები იკარგება. მინისტრის განცხადებით, სამინისტრო ყველა ინფორმაციას გადაამოწმებს და შესაბამის ზომებს მიმართავს. რაც შეეხება კომპიუტერებს, ალექსანდრე ლომაიამ სკოლის დირექტორის გათავისუფლებამდე განცხადება გააკეთა, რომ სკოლას კომპიუტერებს აღუდგენს, თუმცა დაკარგული კომპიუტერების მოძებნა სამართალდამცავების პასუხისმგებლობაა.

ისე კი საინტერესოა, მართლა დარაჯი უნდა მოეხსნა თუ არა მინისტრს და, საერთოდ, არის კი მინისტრის საქმე სკოლის დარაჯის მოხსნა?

## მორიგი საკადრო ცვლილებები

პირველი გვერდიდან

ამჟამად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ვლადიმერ ჭიპაშვილი ქუთაისში იმყოფება. როგორც სამინისტროს პრესცენტრში განმარტავენ, ჭიპაშვილი ჩვეულ რეჟიმში მუშაობს და ისინი მინისტრის შესაძლო გადადგომის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ.

**"ჯანდაცვის მინისტრი იმერეთის რეგიონში ცენტრალური საავადმყოფოს გახსნასთან დაკავშირებით გაემგზავრა. 8 ნოემბერს საავადმყოფოს გახსნაზე თავად საქართველოს პრეზიდენტიც ჩაბრძანდება,"** - აღნიშნეს სამინისტროში.

გადამდგარ მინისტრთა სიაში შესაძლოა, თანამდებობა ვერც სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა შეინარჩუნოს. მისი მუშაობით უკმაყოფილებას პარლამენტის აგრარული კომიტეტი გამოთქვამს და სვიმონიშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დასმასაც აპირებს.

შესაძლოა, თანამდებობა ვერც სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა შეინარჩუნოს. მისი მუშაობით უკმაყოფილებას პარლამენტის აგრარული კომიტეტი გამოთქვამს და სვიმონიშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დასმასაც აპირებს.

გადამდგარ მინისტრთა სიაში შესაძლოა, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავაც მოხვდეს. კულუარული ინფორმაციით, მმართველი პარტია მასზე იმ გამონათქვამების გამოა ნაწყენი, რომელიც ხაინდრავამ სალომე ზურაბიშვილის გადაყენების შემდგომ გააკეთა.

*24 საათი*

## საჭიროება თუ არა საბაჟოს სატრანსპორტო ადმინისტრაციის თანამშრომლები?

საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე ზურაბ ანთელიძე საბაჟო გამშვებ პუნქტებზე სატრანსპორტო ადმინისტრაციის თანამშრომლების მუშაობის საჭიროებას ვერ ხედავს. როგორც გუშინ, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე ანთელიძემ განაცხადა, საბაჟო გამშვებ პუნქტებზე სატრანსპორტო ადმინისტრაციის თანამშრომლების მუშაობის აუცილებლობა არ არსებობს, რადგან გადაზიდვების ადმინისტრირება ამის გარეშეც ხორციელდება.

**"სატრანსპორტო ადმინისტრაცია დადგენილი კვოტების ზემოთ ტვირთების გადაზიდვის შემთხვევაში 500-ლარიან ნებართვას გასცემს. საბაჟო გამშვები პუნქტი ავტომანქანის გასვლის შემთხვევაში ამ ნებართვას ამოწმებს. თუ თანხა გადახდილია, გადაზიდვაში პრობლემები არ იქმნება, ამიტომ საბაჟო გამშვებ პუნქტებზე ადმინისტრაციის თანამშრომლების მუშაობა საჭირო არ არის,"** - განაცხადა ანთელიძემ.

საბაჟო დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის თანამშრომლები, რომლებიც აქამდე საბაჟო გამშვებ პუნქტებზე მუშაობდნენ და საბაჟოზე გადაზიდვების რეგულირებას ახორციელებდნენ, იქ აღარ მუშაობენ. საბაჟო დეპარტამენტის ეს გადაწყვეტილება გუშინ, პარლამენტის დარგობრვი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე საავტომობილო ადმინისტრაციის თავმჯდომარემ ალექსანდრე ჩხიკვაძემ გააპროტესტა. როგორც მან განაცხადა, კვოტის ზემოთ ტვირთების გადაზიდვის ნებართვის გაცემის გარდა, საავტომობილო ადმინისტრაცია კვოტის ფარგლებში განხორციელებულ გადაზიდვებსაც არეგულირებს. ამ გადაზიდვების დარეგულირების კონტროლი შესაძლოა, გართულდეს იმის გამო, რომ საავტომობილო გზების ადმინისტრაცია ამჟამად საბაჟო გამშვებ პუნქტებზე აღარ მუშაობს.

*ინტერპრესნიუსი*

## მარეგულირებელი კომისიების ფინანსებზე კონტროლი დაწესდება

აღმასრულებელი ხელისუფლება მარეგულირებელი კომისიების, ტრანსპორტის ადმინისტრაციების და სააგენტოების ფინანსებზე კონტროლის განხორციელებას აპირებს. მთავრობაში ამ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი კანონპროექტი უკვე მომზადდა, რომელსაც პარლამენტი უახლოეს მომავალში განიხილავს. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის გია ხუროშვილის განმარტებით, აღნიშნული კანონპროექტის თანახმად, მარეგულირებელი კომისიების, ტრანსპორტის ადმინისტრაციების და გაზისა და ნავთობის სააგენტოს ბიუჯეტს ფინანსთა სამინისტრო დაამტკიცებს და მასზე საპარლამენტო კონტროლი განხორციელდება.

**"საგულისხმოა ის, რომ მარეგულირებელი უწყებების ბიუჯეტი რეგულირების საფასურიდან ივსება, და ამ უწყებების ფინანსების ხარჯვაზე კონტროლი არ ხორციელდება. მათ აქვთ სპეცანგარიში, საიდანაც თანხებს დამოუკიდებლად განკარგავენ. ისინი ეკონომიკური სუბიექტები არ არიან და არ იბეგრებიან,"** - განაცხადა გია ხუროშვილმა. მისივე თქმით, ამ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში მარეგულირებელ კომისიებს რეგულირების გადასახადის აკრეფის უფლება შეუნარჩუნდება.

*მედიანიუსი*

## ადგილობრივი თვითმმართველობის კანონპროექტი - ნაბიჯი წინ თუ უკან?

პირველი გვერდიდან

სახელმწიფო კომისიის მიერ შემუშავებული ვარიანტი გავა. როგორც რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების პოლიტიკის კომიტეტში აცხადებენ, ზემოთ აღნიშნული ალტერნატიული ვარიანტები მათ ავტორებს დროულად არ წარუდგენიათ. ოპოზიციას კი მიაჩნია, რომ კანონპროექტის ალტერნატიული მოდელები, უბრალოდ, დაბლოკეს.

კომისიის მიერ შემუშავებული კანონპროექტის მიხედვით, თვითმმართველობის ერთეული იქნება რაიონი. რაიონებში შემავალ სოფლებსა და ქალაქებში თვითმმართველობის ერთეულები გაუქმდება და ერთი ადმინისტრაციული ცენტრი შეიქმნება. რომელი სოფელი რომელს შეუერთდება და ამ გაერთიანებული თემების ადმინისტრაციული ცენტრი სად იქნება, ამას სახელმწიფო განსაზღვრავს.

თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მიენიჭება მხოლოდ იმ ქალაქს, რომელიც რაიონის შემადგენლობაში არ შედის. **"საკრებულოების გამსხვილება დემოკრატიის ხარისხს კი დააზიანებს, მაგრამ, სამაგიეროდ, მომსახურებისა და კონტროლის დონეს გაზრდის,"** - აცხადებს კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი, რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვანო ხუხუნაიშვილი.

ოპოზიციას ასეთი გამსხვილებული თვითმმართველი ერთეულები საბჭოთა პერიოდს ახსენებს. **"აღნიშნული კანონპროექტის ამოქმედების შედეგად იმას მივიღებთ, რომ თვითმმართველობითი ერთეულები მოსახლეობას დაშორდება და ცენტრალური ხელისუფლებისთვის კიდევ უფრო იოლად სამართავი გახდება. სოფლები კი, საქართველოში, ფაქტობრივად, გაუქმდება. მივცეთ სოფლის საკრებულოს უფლებამოსილება, ფული და ვნახავთ, რომ რეალურად ამოქმედდება,"** - აცხადებს "მემარჯვენე" მამუკა კაციტაძე და კოლეგებს ურჩევს, სანამ მომავალ პლენარულ სხდომაზე აღნიშნულ კანონპროექტს მხარს დაუჭერენ, კარგად დაფიქრდნენ.

"მემარჯვენეების" ალტერნატიული პროექტი ორდონიანი თვითმმართველობის განვითარებას ითვალისწინებს. პირველი დონეა - უბანი. თბილისი, თავისი კულტურული და ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, 33 ადმინისტრაციულ ერთეულად დაიყოფა. უბნის ხელისუფლება უბნის მმართველისგან და უბნის სათათბიროსგან იქნება შემდგარი. პირველს მოსახლეობა აირჩევს, ხოლო სათათბირო, ორი წლის ვადით, მაჟორიტარული წესით აირჩევა.

რაც შეეხება მეორე დონეს, ეს იქნება ქალაქი, რომელსაც რეგიონის სტატუსი და უფლებები უნდა მიენიჭოს.

ორდონიანი თვითმმართველობის მომხრეა დავით ბერძენიშვილიც. **"ჩემი აზრით, თვითმმართველობის ორი დონე უნდა განვითარდეს. ქონება და კომპეტენციები რაიონის ზემოთ, სამხარეო ადმინისტრაციაში და ქვემოთ, რამდენიმე თვითმმართველ ერთეულზე უნდა გადანაწილდეს. ეს იქნება გზა რეალური დეცენტრალიზაციისა და დემოკრატიისკენ,"** - ამბობს იგი.

სხვათა შორის, რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე შალამბერიძეც ადრე ორდონიანი თვითმმართველობის მომხრე იყო. **"საერთოდ, ქვეყანაში ორდონიანი თვითმმართველობა უნდა იყოს. მეორე დონე რეგიონამდე უნდა ავიდეს. ვფიქრობ, რომ ძალიან დიდი უფლებები უნდა ჰქონდეს პირველი დონის თვიმმართველობით ორგანოებს,"** - აცხადებდა იგი. დღეს კი შალამბერიძე სახელმწიფო კომისიის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს უჭერს მხარს.

პლენარულ სხდომაზე ოპოზიციის მხრიდან არანაკლები წინააღმდეგობა შეხვდება კანონპროექტის მეექვსე თავს, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებს განსაზღვრავს. კანონპროექტის მიხედვით, ქალაქის მერი (რომელსაც საქართველოს ყველა ქალაქში საკრებულო ირჩევს) საკრებულოს თავმჯდომარის ფუნქციასაც ითავსებს. **"საკრებულოს მიერ მერის არჩევითობაზე ჩვენი აზრი არაერთხელ დაგვიფიქსირებია. ჩვენთვის ასევე მიუღებელია, რომ წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს ერთი ხელმძღვანელი ჰყავდეს. ანუ აღმასრულებელმა უწყებამ საკუთარი საქმიანობა თვითონვე უნდა გააკონტროლოს,"** - აცხადებს ოპოზიცია.

კანონპროექტის ავტორებს კი მმართველობის აღნიშნული ფორმა კონტროლის საუკეთესო მექანიზმად მიაჩნიათ და მაგალითად ლატვია და ბულგარეთი მოჰყავთ. **"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის ზუსტად ასეთი მოდელი აქვთ ამ ქვეყნებში. მათგან კი ერთი ევროკავშირის წევრია, მეორე - კანდიდატი,"** - აცხადებს ხუხუნაიშვილი.

ამ ეტაპზე ცხადი მხოლოდ ერთი რამაა - პარლამენტში კანონპროექტის განხილვა ოპოზიციის მწვავე და ხმამაღალი განცხადებების ფონზე ჩაივლის.

## რომან გოცირიძე მოსკოვში გაემგზავრა

"საქართველოს ეროვნული ბანკის" პრეზიდენტი რომან გოცირიძე რუსეთის "ცენტრობანკის" თავმჯდომარე სერგეი იგნატიევთან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსული კომერციული ბანკების საქმიანობის საკითხს განიხილავს.

გუშინ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე მოსკოვში სამუშაო ვიზიტით გაემგზავრა, სადაც იგი მონაწილეობას მიიღებს 11-12 ნოემბრისათვის მოსკოვში, შავი ზღვის აუზის, ბალკანეთისა და შუა აზიის ქვეყნების ნაციონალური ბანკების თავმჯდომარეების კლუბის შეხვედრაში.

კლუბში 17 ქვეყანა - აზერბაიჯანი, ალბანეთი, სომხეთი, ბულგარეთი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, საბერძნეთი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მაკედონია, მოლდოვა, რუსეთი, რუმინეთი, სერბეთი, ტაჯიკეთი, თურქეთი და უკრაინაა გაერთიანებული. შეხვედრაზე ნაციონალური ბანკების პრეზიდენტები მათ ქვეყნებში ეკონომიკის განვითარებასა და საბანკო სისტემის განვითარების საკითხებს განიხილავენ.

*ინტერპრესნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საგარეო საქმეთა ექსმინისტრი სალომე ზურაბიშვილი თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში პარლამენტისა და კონტროლის პალატის მხრიდან მის დადანაშაულებას ხელისუფლების მიერ "პოლიტიკურ ძალაზე განხორციელებულ პოლიტიკურ შეტევად" და "ხელისუფლების სტრატეგიად" აფასებს.

ზურაბიშვილის შეფასებით, ხელისუფლების მხრიდან მის წინააღმდეგ დაწყებული კამპანია "მოულოდნელი არ ყოფილა." "გაკეთებული განცხადებები კარგად ჯდება ჩემდამი და ჩემს მიერ დაფუძნებული მოძრაობის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულებაში. ამგვარი განცხადებებით ხელისუფლება მოქალაქეების თვალში ჩემდამი ნდობის შელახვას ცდილობს," - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ზურაბიშვილის მტკიცებით, მისი მინისტრობის პერიოდში სამინისტროს შემოწმება კონტროლის პალატამ მართლაც განახორციელა, მაგრამ "იმ არასწორ დასკვნებზე, რომელიც პალატამ შემოწმების შედეგად წარმოადგინა, კონტროლის პალატას სამინისტრომ წერილობით გასცა პასუხი." "ჩემს წინააღმდეგ ხელისუფლების გააქტიურება, თანხების არამიზნობრივ ხარჯვებზე საქმის გაცოცხლება არ გამკვირვებია," - დასძენს ზურაბიშვილი, რომელიც მის წინააღმდეგ ხელისუფლების აქტიურობას, თანამდებობის გადადგომის შემდეგ საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნებას უკავშირებს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგარეო საქმეთა სამინისტროში რეორგანიზაცია დაიწყება. ამის შესახებ განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე გააკეთა. ბეჟუაშვილის თქმით, იგი გააძლიერებს სამინისტროს საქმიანობის უსაფრთხოების ნაწილს. უახლოეს მომავალში შეიქმნება კონფლიქტების მოგვარების ჯგუფი, რომელიც 24-საათიან რეჟიმში, სხვა უწყებებთან კოორდინაციაში იმუშავებს. მინისტრის განცხადებით, საგარეო უწყება აქტიურად ითანამშრომლებს პარლამენტთან, საპარლამენტო მდივნად კი მინისტრის მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი დაინიშნება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აზერბაიჯანის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას აზერბაიჯანელ ხალხს უსურვებს. "მინდა, საქართველოს სახელით, არჩევნებში გამარჯვება ვუსურვო არა კონკრეტულ კანდიდატებს და პარტიებს, არამედ აზერბაიჯანელ ხალხს. რადგან საქართველოსთვის, ისევე როგორც მთელი რეგიონისთვის, აზერბაიჯანში მშვიდობა და თავისუფლება უმნიშვნელოვანესია," - განაცხადა გუშინ თბილისის მეჩეთში ბაირამობის დღესასწაულზე მისულმა საქართველოს პრეზიდენტმა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 9 ნოემბერს საქართველოში პირველი ოფიციალური ორდღიანი ვიზიტით ლიტვის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი ჩამოვა. პრეზიდენტი ადამკუსი უკვე შეხვდა ლიტვაში საქართველოს ელჩს დავით აფციაურს, რომლის დროსაც ვიზიტის დეტალები, საქართველოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარება განიხილეს. ვალდას ადამკუსმა დავით აფციაურს განუცხადა, რომ ლიტვა ყოველთვის უჭერდა და მომავალშიც დაუჭერს მხარს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციას. ადამკუსი ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლებას დახმარებას ჰპირდება. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**რუსეთი.** მოსკოვში გუშინ რუს ნაციონალისტთა მსვლელობა გაიმართა, რომელშიც მემარჯვენე-რადიკალური მოძრაობის დაახლოებით 2 000 წარმომადგენელი მონაწილეობდა. მსვლელობა "რუსული საერთო-ეროვნული კავშირის", "რუსეთის ეროვნულ-დერჟავული პარტიის", "ეროვნულ-პატრიოტული ფრონტის", "პამიატის", "ევრაზიული კავშირის" და სხვა ნაციონალისტური მოძრაობების მიერ იყო ორგანიზებული. ჩისტოპრუდნის ბულვარზე მოძრაობა "თავდაცვის" აქტივისტებმა ნაციონალისტებს წყლით გავსებული პრეზერვატივები დაუშინეს. ამის პასუხად, კოლონებს რამდენიმე ადამიანი გამოეყო, რომლებმაც "თავდაცვის" აქტივისტებს პლაკატი "ფაშიზმი ვერ გაიმარჯვებს" ხელიდან გამოგლიჯეს და დაწვეს. მილიციის თანამშრომლებმა კონფლიქტური სიტუაცია საკმაოდ მალე განმუხტეს. გარდა ამისა, "ინტერფაქსის" მონაცემებით, იაუზის ბულვარის მიდამოებში უცნობებმა კოლონას პეტარდები ესროლეს. მილიციელებმა თავდამსხმელთა დაკავება სცადეს, თუმცა მათ მიმალვა მოახერხეს. "ერთიანი რუსეთის", "მემარჯვენე ძალთა კავშირისა" და "იაბლოკოს" წარმომადგენლებმა "ნაციონალების" მსვლელობა დაგმეს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**ევროპა.** ევროკომისიას განზრახული აქვს, დაადგინოს სისწორე ინფორმაციისა, რომლის თანახმად შეერთებულ შტატებს აღმოსავლეთი ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში საიდუმლო ობიექტი აქვს და იქ ტერორიზმში ეჭვმიტანილ პირებს აკავებს. ეს გადაწყვეტილება უკავშირდება გაზეთ "ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებულ სტატიას, რომლის მიხედვით ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს შექმნილი აქვს რვა საიდუმლო ციხისგან შემდგარი მსოფლიო ქსელი, სადაც დაკავებული ჰყავს ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირები. თეთრი სახლის წარმომადგენელმა ეს ინფორმაცია არ დაადასტურა, თუმცა არც უარუყვია. **რადიო თავისუფლება**

■ ■ ■

**აღმოსავლეთ აზია.** ჩრდილოეთი კორეის ხელისუფლებამ ქალებს მოუწოდა ტანსაცმლის ტრადიციულ და არა "ბურჟუაზიულ" სტილს მიანიჭონ უპირატესობა. ქალთა ოფიციალურმა ჟურნალმა გუშინ გამოქვეყნებულ სტატიაში მკითხველ ქალებს მოუწოდა ტრადიციული ტანსაცმლით შეიმოსონ, რაც, რედაქციის აზრით, "განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ახლა, როცა აშშ ჩრდილოეთ კორეაში ცხოვრების ბურჟუაზიული სტილის დანერგვას ცდილობს".

რამდენიმე თვის წინ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ მამაკაცთა გრძელი თმების წინააღმდეგ დაიწყო კამპანია და ამგვარ ვარცხნილობას "ანტისოციალისტური" და "არაჰიგიენური" უწოდა. **გაზეტა.რუ**

# აზერბაიჯანის ხელისუფლება მზადაა არეულობების აღსაკვეთად

პირველი გვერდიდან

უსუბოვის თქმით, ოპოზიცია ცდილობს წინასწარ შეაგუოს საზოგადოება და საერთაშორისო დამკვირვებლები იმ აზრთან, რომ არჩევნები გაყალბდება, რადგან შემდეგ საფუძველი ჰქონდეს არჩევნების შედეგების გადახედვის მოთხოვნით მასობრივი მიტინგები მოაწყოს.

**"ოპოზიციამ მათივე გათვლებით, დაახლოებით ხმების 50-60 პროცენტი უნდა დააგროვოს. თუმცა, აზერბაიჯანის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ამ მეამბოხეებს არ ემხრობა. ჩვენი სიძლიერე ის კი არ არის, რომ პოლიციაა ძლიერი, არამედ ისაა, რომ მოსახლეობა ილჰამ ალიევს უჭერს მხარს,"** - ამბობს უსუბოვი.

სწორედ ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრო "დარწმუნებულია" მმართველი პარტიის წარმატებაში. ხოლო რაც შეეხება სამართადამცავთა რაოდენობას, რომელიც არჩევნების დღეს წესრიგის დაცვაზე იზრუნებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მთავარი რაოდენობა არ არის - თურმე, აზერბაიჯანში თვისობრივად შეიცვალა წესრიგის დაცვის საკითხი. **"ჩვენ ყველაზე თანამედროვე წესრიგის დაცვის საშუალებები გვაქვს და ას პოლიციელსაც კი შეუძლია არეულობის აღკვეთა და მრავალათასიანი ბრბოს შეჩერება,"** - ამბობს მინისტრი.

მოკლედ, თუ აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა მინისტრს დავუჯერებთ, პოლიცია ქვეყანაში კრიმინოგენულ ვითარებას აკონტროლებს. რესპუბლიკის ყველა რაიონში დაცულია საზოგადოებრივი წესრიგი. გარდა ამისა, წინასაარჩევნოდ ქვეყნის ყველა სამართალდამცავი ორგანოს მიერ პროფილაქტიკური ღონისძიებები ჩატარდა.

ის, რომ აზერბაიჯანის საპარლამენტო არჩევნების დღეს - 6 ნოემბერს ბაქოში არეულობები რაღაც დოზით მაინც აუცილებლად მოხდება, აშკარაა. ამისთვის, ოპოზიციამ უკვე საკმარისად გაირა "რეპეტიციები". გარდა ამისა, ხელისუფლების მკაცრი და ხშირ შემთხვევაში საეჭვოდ "კანონიერი" ქმედებებიც უწყობს ხელს უკმაყოფილოთა მასის გამრავლებას.

სხვათა შორის, საერთაშორისო ორგანიზაციები აცხადებენ, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ არ დააკმაყოფილა დასავლეთის მთავარი მოთხოვნა - არ უზრუნველყო სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება.

ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის "ჰიუმან რაითს უოჩის" აზრით, უკანასკნელ მომენტში აზერბაიჯანის საარჩევნო კანონში შეტანილი ცვლილებები მდგომარეობას ვერ გამოასწორებს. ხუთშაბათს გამოქვეყნებულ განცხადებაში ახალი ზომები "არასაკმარისად" და "დაგვიანებულად" არის შეფასებული.

შეგახსენებთ, გასულ კვირაში "ჰიუმან რაითს უოჩმა" განაცხადა, რომ აზერბაიჯანი მზად არ არის თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების

# "ფრინველის გრიპის" ვირუსთან ბრძოლას შედეგი ჯერჯერობით არ მოაქვს

"ფრინველის გრიპის" ვირუსთან ბრძოლა ჯერჯერობით უშედეგოდ გრძელდება, პრობლემაზე მომუშავე ექსპერტები რეალურად ვერაფერს სთავაზობენ სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლებას. გარდა იმისა, რომ სახიფათო ვირუსმა დიდი ხანია, რაც აზიის ფარგლები დატოვა და ევროპას მოედო, უკვე კანადაშიც შეაღწია. თავად ვირუსის აღმოცენების რეგიონში კი ყოველდღიურად იზრდება გადამფრენი ფრინველებისა თუ შინაური ფრინველის დახოცვის საგანგაშო მაჩვენებლები. როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონის მასმედიის საშუალებები იუწყებიან, ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე ლიანონის პროვინციაში "ფრინველის გრიპით" ფრინველების დახოცვის კიდევ ახალი შემთხვევები გამოვლინდა. ჩინეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, ლიანონის პროვინციის სოფელ ბადაოჰაოში ამ ვირუსით 9 000 შინაური ფრინველი დაიღუპა. ფრინველის ვირუსით დახოცვის დიაგნოზი 1 ნოემბერს ჩატარებული ექსპერტიზის შედეგებით დადასტურდა. კვლევის შედეგად მიღებული ცნობებით, დახოცილ ფრინველს H-5 ტიპის ვირუსი აღმოაჩნდა. ხელისუფლებამ ინფექციის კერის მახლობლად მდებარე ფერმებში უკვე გასცა კიდევ 370 ათასი ფრინველის განადგურების ბრძანება.

უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში ეს ჩინეთში "ფრინველის გრიპის" გავრცელების უკვე მეოთხე შემთხვევაა. მანამდე "ფრინველის გრიპის" ვირუსი ანჰოის, ჰუნანის პროვინციებსა და მონღოლეთშიც აღმოაჩინეს.

ჩინეთმა ცოტა ხნის წინ "ფრინველის გრიპის" გამოვლენისათვის სპეციალური ნაციონალური ქსელიც შექმნა. გარდა ამისა, ხელისუფლებამ კომისიაც ჩამოაყალიბა, რომლის 6 წევრი სახელისუფლებო ორგანოების წარმომადგენელია. ქვეყნის რამდენიმე რეგიონში კი, სადაც ფრინველის მასობრივად დახოცვის ფაქტები ჯერ არ გამოვლენილა, მაგრამ საფრთხე რეალურად არსებობს, კარანტინი გამოცხადდა. პროგრამის ფარგლებში 14 მილიონ შინაურ ფრინველს ჩაუტარდება ვაქცინაცია.



*ვიეტნამში "ფრინველის გრიპით" დაავადებული 3000-მდე ფრინველი გაანადგურეს.*

გუშინ ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვიეტნამში "ფრინველის გრიპით" დაავადებული 3000-მდე ფრინველი გაანადგურეს. ადგილობრივი მკვიდრი კი ამ დაავადების სიმპტომებით საავადმყოფოშია მოთავსებული. დიაგნოზი ჯერჯერობით დადასტურებული არ არის, თუმცა თავისთავად ფაქტი უკვე საგანგაშოა.

ბევრი მეცნიერი მიიჩნევს, რომ პანდემიის საფრთხე ამ ეტაპზე უკვე რეალურია, თუკი ვირუსი მუტაციას განიცდის და ადამიანიდან ადამიანზე გავრცელდება.

ჩინეთზე არანაკლებ სახიფათო მდგომარეობაა მეორე აზიურ სახელმწიფოშიც. "ფრინველის გრიპის" წინააღმდეგ მიღებული ზომების მიუხედავად, ვიეტნამის სამ ჩრდილოეთ პროვინციაში ამ დაავადების აფეთქება დაფიქსირდა.

სააგენტო "ესოშიეითიდ პრეს"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ქვეყანაში "ფრინველის გრიპით" უკვე 3000-ზე მეტი შინაური ფრინველი დაიღუპა.

პროვინციების ხელმძღვანელობა დამატებით ზომებს იღებს იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს დაავადების გავრცელება.

აზიის სახელმწიფოების ხელისუფლებების ძალისხმევის გარდა, საშიში ვირუსის გაუვნებელყოფაზე საერთაშორისო ორგანიზაციებიც მუშაობენ. მსოფლიო ბანკი კი "ფრინველის გრიპით" მიყენებულ პოტენციურ ზარალს ითვლის. გლობალური მასშტაბის საფინანსო ორგანიზაციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური პრობლემები არა მარტო ფრინველის სიკვდილიანობით იქნება მომავალში განპირობებული, არამედ გაცილებით უარესი მუშაობა შეიძლება აღმოჩნდეს კაცობრიობისთვის ფრიად სახიფათო ახალი ტიპის ვირუსის წინააღმდეგ არაკოორდინირებული.

**"მხოლოდ ეროვნულ დონეზე კარანტინების გამოცხადება და სხვა პრევენტიული ზომების მიღება სასურველ შედეგამდე ვერ მიგვიყვანს, თუკი ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლა კოორდინირებული არ იქნება"**, - ნათქვამია მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში.

ანგარიში იმ დროს გამოქვეყნდა, როდესაც აღმოსავლეთ აზიის მაღალჩინოსნები ბანკოკში იყვნენ შეკრებილნი, სწორედ ამ საკითხის განსახილველად. შეხვედრაზე კამბოჯის, ლაოსის, ბირმის, ტაილანდისა და ვიეტნამის საგარეო უწყებების მეთაურები ვირუსის გავრცელების აღმკვეთ ერთობლივ ღონისძიებებსა და ვაქცინის შემუშავებაზე შეთანხმდნენ.

აზიის სახელმწიფოების სასარგებლოდ კი შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ბანკი კმაყოფილია ამ ქვეყნების უნარით - გამკლავებოდნენ მათთვის არცთუ ისე მომგებიან პერიოდში ეკონომიკურ რყევას, მით უფრო, რომ შინაური თუ ეგზოტიკური ფრინველების ექსპორტის ჩავარდნას ნავთობზე ფასების ორმაგი ზრდაც დაერთო.

*24 საათი*

## უცნობი თავისუფლება

**რადიო "უცნობის ყოველდღიური გადაცემის "უცნობი თავისუფლების" მორიგი სტუმარი ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე გახლდათ, რომელმაც გადაცემის წამყვანის ალექსანდრე ელისაშვილის მიერ დასმულ კითხვებს გასცა პასუხი.**

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ტელეკომპანია "რუსთავის 2-ზე" მიმდინარე დებატებს როგორ შეაფასებთ?

**ელენე თევდორაძე:** ნებისმიერი დებატები, ნებისმიერი აზრი, რომელიც იქნება გამოთქმული, ჩემთვის საინტერესოა და პატივს ვცემ.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** გასაგებია, რომ ოპოზიცია თავისი პოზიციის დაცვას ცდილობს, ხელისუფლება - თავისას, მაგრამ დიალოგის კულტურა როდის უნდა ჩამოყალიბდეს? როდის უნდა გაიზარდონ ჩვენი პოლიტიკოსები?

**ელენე თევდორაძე:** მე ვერანაირ დიაგნოზს ვერ დავსვამ, მაგრამ აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ ეს კულტურა ჩამოსაყალიბებელია. ერთი თვის წინ მე და ლევან ბერძენიშვილი ვიყავით "ტელე-იმედზე" ინგა გრიგოლიას გადაცემაში მიწვეულნი. გადაცემის დასრულების შემდეგ მითხრეს, რომ გადაცემა ძალიან საინტერესო არ გამოვიდა, რადგან ერთმანეთს ვუსმენდით და არ ვლანძღავდით. როგორც ჩანს, საზოგადოება რასაც ითხოვს, პოლიტიკოსებისგან იმას ვიღებთ.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** არ მგონია, რომ ხალხს უნდოდეს 3 ხმაში ერთმანეთის ლანძღვის მოსმენა. დღეს დავთვალე, 7 კომიტეტი ერთობლივად მართავს სხდომას, მათ შორის თქვენი კომიტეტიც. რატომ არის ერთდროულად ამდენი სხდომა?

**ელენე თევდორაძე:** იმის გამო, რომ საკმაოდ დატვირთული სასესიო კვირა გველის, სადაც საკმაოდ სერიოზული, თვითმმართველობის კანონპროექტი უნდა განვიხილოთ. ალბათ, ამიტომ მოხდა ეს დამთხვევა.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** მთავრობის ბოლო სხდომის შემდეგ ანეკდოტები დადის ქალაქში, თუ როგორ დატუქსა პატარა ბავშვებივით პრეზიდენტმა მინისტრები მობილური ტელეფონების გამო. როგორ ფიქრობთ, რაში დასჭირდა პრეზიდენტს ამ მიზეზის გამო მათთვის შარის მოდება?

**ელენე თევდორაძე:** ეს საკითხი, ალბათ, ამიტომ წამოიჭრა - პარლამენტარებმა არაერთხელ თქვეს საყვედური იმის შესახებ, რომ ისინი ვერ უკავშირდებიან მინისტრებს. ვფიქრობ, რომ ეს იყო პრეზიდენტის განცხადების მიზეზი. ზოგჯერ მეც მიჭირს, მთავრობის ტელეფონითაც კი, მინისტრებთან დაკავშირება. ეს იყო, სამწუხაროდ, შევარდნაძის დროს და დარჩა ახლაც.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ვანო მერაბიშვილი რამდენი ხანია, არ მოდის პარლამენტში. ირაკლი ოქრუაშვილი მოვიდა, ყინჩად იდგა და ასევე ყინჩად პასუხობდა პარლამენტარებს. როგორც ირკვევა, ოპოზიცია განსაკუთრებით ელის მერაბიშვილის პარლამენტში ვიზიტს, რომ დაბომბონ კითხვებით. თქვენ თუ გექნებათ მასთან შეკითხვა, და არის თუ არა დარღვევა, რომ საკანონმდებლო უწყებაში არ მოდის?

**ელენე თევდორაძე:** ვერ დაგეთანხმებით, რომ მერაბიშვილმა რეგლამენტი დაარღვია. თუმცა ისიც მართალია, რომ რაც ეს პარლამენტი მუშაობს, მერაბიშვილი პარლამენტში არ მოსულა. თავისთავად, მეც მექნება კითხვა, რომელიც მას უკვე გავუგზავნე წერილობით. ალბათ, მიგიქცევიათ ყურადღება, რომ ბოლო დროს სამართალდამცავების მიერ ჩატარებული ოპერაციები ორივე მხარის მსხვერპლით მთავრდება. მაინტერესებს, რატომ გვაქვს ასეთი შედეგი? მაინტერესებს, რამდენი პოლიციელი დაიღუპა 2005 წელს, რამდენი დაიჭრა და რამდენი დარჩა ხეიბარი. მისასალმებელია, რომ დაკავებულები თანამდებობის პირები არიან, რომლებიც ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს, მაგრამ საინტერესოა, როგორ, რატომ მოხდა მათი სამსახურში აყვანა, ესენი ხომ სულ ახლახან დანიშნული თანამდებობის პირები არიან? ზოგჯერ მეუბნებიან, რომ დანიშვნა ნაცნობობით, მეგობრობით ხდება. ამ კითხვებზე პასუხი მინდა მინისტრისგან გავიგო.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** გაზეთ "24 საათთან" მიცემულ ინტერვიუში ვანო მერაბიშვილმა თქვა, რომ დეპუტატები კითხვებს ვერ აყალიბებენ. ვიმედოვნებ, ერთი განათლებული კაცი მაინც მოიძებნება პარლამენტში, ვინც შეკითხვას სწორად დასვამსო, - საინტერესო მოსასმენი იყო მერაბიშვილის მხრიდან ეს სიტყვები. ყოველ შემთხვევაში, გაზეთში ასე ეწერა.

ზურაბ ჟვანიასთან დაკავშირებით თუ გექნებათ შეკითხვები? არის თუ არა გაცემული ყველა კითხვაზე პასუხი, და საერთოდ, რატომ მიჩუმათდა ეს თემა?

**ელენე თევდორაძე:** ეს საქმე უკვე დიდი ხანია, პროკურატურაშია და პროკურატურა აწარმოებდა გამოძიებას. ამდენად, ეს კითხვა მერაბიშვილს არ უნდა დავუსვათ. ალბათ, გახსოვთ, ოპოზიციამ დააყენა საკითხი, რომ მობრძანებულიყო გენერალური პროკურორი, თუმცა შემდეგ შუალედური წერილის მიღებაზეც დავთანხმდით. ამ ინფორმაციით ახალი ვერაფერი გავიგე. კითხვები თავისთავად დარჩა. როგორც ვიცი, ჩვენი პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიება ოქტომბერში დამთავრდა და ველოდებით მათ მასალებს. პრემიერ-მინისტრის ხელმოწერით გაიგზავნა წერილი ბრიტანეთში, რათა "სკოტლანდ-იარდიდან" ყოფილიყო გამოყოფილი დამოუკიდებელი ექსპერტების ჯგუფი. როგორც ვიცი, იქიდან არც დადებითი და არც უარყოფითი პასუხი ჯერ არ მოსულა. დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის ჩამოყვანა ჟვანიას ოჯახის მოთხოვნა გახლდათ, რომელიც მათ პრეზიდენტს გააცნეს მასთან შეხვედრის დროს. რადგან, როგორც ჩემთვისაა ცნობილი, ოჯახი არ დაეთანხმა იმ დასკვნით ნაწილს, რომელიც FBR-მა პროკურატურას დაუტოვა.

Kuzanov Clinic
კუზანოვის კლინიკა

1. ლაზერული ეპილაცია
2. ლაზეროთერაპია (ტყლიპების, ჰემანგიომების, ხალების, სვირინგების მოცილება)
3. მეზოთერაპია
4. დერმოაბრაზია
5. ქიმიური პილინგები
6. სხეულის ლაზერული კორექცია
7. ენერგეტიკული ქოქონი (ნერვული დაძაბულობა, დეპრესია, რევმატიზმი, ოსტეოქონდროზი, კუნთების დაძაბულობა)
8. პედიკური
9. ნარბების კორექცია
10. კოსმეტოლოგია
11. მანიკური
12. სტომატოლოგია
13. თვალის სრული დიაგნოსტიკა და ქირურგია

თქვენი არჩევანი - ჩვენი პროფესიონალიზმია
გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-006, 8(99) 703-703
www.kuzanov.com

# უცვლელი სტრატეგია

გოგი თოფაძე
პოლიტიკური მოძრაობის "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" თავმჯდომარე

რამ განაპირობა 1999 წელს პოლიტიკური მოძრაობის "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" შექმნა, რატომ ჩათვალა მაშინ საჭიროდ საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა მეწარმეთა პოლიტიკური გაერთიანების ჩამოყალიბება?

იმდროინდელი პოლიტიკური სპექტრის სიჭრელის მიუხედავად, არც ერთი პოლიტიკური ძალა საზოგადოებას არ სთავაზობდა იმ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის რეალურ გზებს, რაც სახელმწიფოს მშენებლობის უმთავრესი და უალტერნატივო წინაპირობაა.

ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასული ნაომარი ქვეყანა სამრეწველო პოტენციალის საბოლოო გაჩანაგების და ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის სრული განადგურების აშკარა საფრთხის წინაშე იდგა. როგორც შემდგომში ცხოვრებამ აჩვენა, "მრეწველების" პოლიტიკური განაცხადი საზოგადოების იმდროინდელ განწყობას სრულად პასუხობდა და ეს დაადასტურა კიდეც 1999 წლის საპარლამენტო და 2002 წლის ადგილობრივმა არჩევნებმა.

"მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" იყო ერთადერთი პარტია, რომელმაც არჩევნების ტოტალური გაყალბების და ორი სახელისუფლებო პოლიტიკური დაჯგუფების გარიგების პირობებშიც კი შეძლო საარჩევნო ბარიერის გადალახვა. მაშინ, როცა არჩევნებზე რეალურად მიღებული ხმები, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, წყალს მიჰქონდა, მრეწველების ოპოზიციურმა მოძრაობამ არჩევნები მოიგო.

რაში ვხედავდით გამოსავალს და სახელმწიფოს აშენების წინაპირობებს, რა მიგვაჩნდა იმ უპირობო ღირებულებებად, რასაც უნდა ეფუძნებოდეს ქვეყნის წარმატებული განვითარება: ეროვნული წარმოების აღდგენა და განვითარება, ლიბერალური საგადასახადო გარემოს შექმნა, მეწარმეობის, ეკონომიკური ინიციატივის, საქმის კეთების მაქსიმალური წახალისება, ადგილობრივი მეწარმეობის დაცვა, ინვესტიციების ხელშემწყობი გარემოს უზრუნველყოფა, ადგილობრივი პროდუქციის რეალიზებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების შენარჩუნება, ისეთი სოციალური პირობების უზრუნველყოფა, როდესაც საზოგადოებაში ყალიბდება ძლიერი საშუალო ფენა, იქმნება ისეთი გარემო, რომელიც ხელს უწყობს რეალური უფლებების და გაცნობიერებული პასუხისმგებლობის მქონე ამომრჩევლის ჩამოყალიბებას. ასეთი ამომრჩეველი არჩევანში თავისუფალია და სასურველ კანდიდატს თუ პოლიტიკურ ძალას ირჩევს არა პოპულისტური, მხოლოდ ამომრჩევლის გულის მოსაგებად გაკეთებული წინასაააარჩევნო არარეალური დაპირებების გამო, არამედ სავსებით შეგნებულად მისთვის და ქვეყნისათვის სასარგებლო პრაგმატულ არჩევანს აკეთებს.

ამ მოსაზრებებისა და შეხედულებების რეალიზებისათვის "მრეწველების" საპარლამენტო ფრაქციამ 1999 წლიდან ბევრი იბრძოლა, იქნებოდა ეს საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტის შემუშავება პასუხისმგებელი და ქმედითუნარიანი მთავრობის ჩამოსაყალიბებლად, ცვლილებები საარჩევნო კოდექსში თუ საგადასახადო კოდექსის ალტერნატიული ვარიანტის შემუშავება, ადგილობრივი ბაზრის დასაცავად არაერთი საკანონმდებლო ინიციატივის გატანა, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის ნედლეულად გატანაზე მორატორიუმის შემოღება და მრავალი სხვა.



"მრეწველებს" ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ყოველთვის გამოარჩევდა ერთი უმთავრესი რამ - დაპირებები მხოლოდ წინასაარჩევნო არ ყოფილა, ეს იყო ყოველდღიური ბრძოლა ამომრჩევლის ინტერესების დასაცავად, პოლიტიკური სტრატეგიის, პარტიის გეზის სისწორის დამტკიცება ყოველდღიური საქმეებით და აქედან გამომდინარე კონკრეტული შედეგებით.

რაც შეეხება პოლიტიკური მოძრაობის სტრატეგიას, ის დღესაც უცვლელი რჩება, დღესაც აქტუალურია იდეა, რომ ძლიერი ეკონომიკური საფუძვლის გარეშე სრულყოფილი, თანამედროვე, დემოკრატიული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამ სტრატეგიული არჩევანის სისწორეს ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე ადასტურებს. არ არსებობს არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა რამ პრობლემა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომლის მოგვარების გზა ეკონომიკის სიძლიერეზე არ გადიოდეს. არა მარტო მეცნიერების ან ვთქვათ სპორტში შექმნილი პრობლემების გადაჭრა, არამედ ქართული სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტის - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საფუძველიც ქვეყნის ძლიერი ეკონომიკური ბაზის შექმნაა.

შესაძლოა საზოგადოებას ერთი და იგივეს გამეორებით თავი მოვაბეზრეთ, მაგრამ ძნელია, არ თქვა, როდესაც დარწმუნებული ხარ, რომ შენი პოზიცია სწორია და ეს გზა არის რეალურად სუვერენული და ძლიერი ქვეყნის აშენების წინაპირობა.

პოლიტიკური მოძრაობის ექვსწლიანი ისტორიის მანძილზე თანამოაზრეებთან ხშირად გვიკამათია კონკრეტულ ტაქტიკაზე, მაგრამ სტრატეგიული ხედვა არასოდეს გამხდარა სადავო, არა მარტო თანამოაზრეებში, ოპონენტებიც კი ხშირად იძულებით აღიარებდნენ ამ გზის სისწორეს.

დადგა დრო, პოლიტიკურმა მოძრაობამ ობიექტურად შეაფასოს განვლილი წლების წარმატებები, გაარკვიოს წარუმატებლობების მიზეზები, განსაზღვროს სამომავლო პერსპექტივები.

ცხოვრება დინამიურად იცვლება და საჭიროა ამ ყველაფერს ადეკვატურად ავუწყოთ ფეხი. ქვეყანაში ბევრი რამ იცვლება, იგეგმება ბევრი სიახლე და ამ პროცესებისადმი პარტიას უნდა ჰქონდეს გამოკვეთილი შეფასება და დამოკიდებულება.

ჩვენს მთავარ საქმედ კვლავ მიგვაჩნია ეროვნული წარმოების გადარჩენა, ჯანსაღი ეკონომიკური გარემოს შესაქმნელად ბრძოლა, კონკრეტული მაგალითების ჩვენებით საზოგადოების დარწმუნება, რომ ქართველებს თანაბარ პირობებში სხვაზე არანაკლებ შეუძლიათ საქმის კეთება. თუ რადიკალური ცვლილებები სწრაფად არ მოხდა, რეალურად არ შეიქმნა სტაბილური, მიმზიდველი და დაცული საინვესტიციო გარემო, შეუძლებელია უკეთესი ცხოვრების პერსპექტივა გაჩნდეს.

მიმაჩნია, რომ დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაქტიკული საქმეებით იმის დასაბუთება და განმტკიცება, რაც ჩვენი მოძრაობის იდეოლოგიას, ძირითად მიზანს და სათქმელს წარმოადგენს. ქართულ მრეწველობაში დასაქმებულმა ადამიანმა, ვინც საკუთარ თავში საკმარის ძალას და უნარს გრძნობს, უნდა შექმნას ქართველი ბიზნესმენის და ქართული კომპანიის წარმატებული აქტივობის რაც შეიძლება მეტი მაგალითი. ეს არა მარტო საზოგადოებას მისცემს რეალურ ორიენტირებს და კონკრეტულ შედეგებს (ვგულისხმობ ხალხის დასაქმებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, სახელმწიფოს ბიუჯეტის ზრდას), არამედ ჩვენი ეკონომიკური სივრცე უცხოელი და ქართველი ინვესტორებისათვის გაცილებით უფრო საინტერესო და მიმზიდველი გამოჩნდება. ქართულ ეკონომიკას უდიდესი პოტენციალი აქვს, არის უამრავი დარგი და მიმართულება, სადაც სწორად დაგეგმილ სტრატეგიას და ზუსტად გათვლილ ნაბიჯებს სწრაფი შედეგების მოტანა შეუძლია. სწორედ ამიტომაც მიიჩნევს ჩვენი პოლიტიკური მოძრაობა უმთავრეს პრიორიტეტად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის ბრძოლას.

"მრეწველები" რიგით მესამე ყრილობაზე ვიკრიბებით, რომ დღევანდელ სიტუაციაში ჩვენი პოლიტიკური აქტივობის ნიშა განვსაზღვროთ და მოქმედების ტაქტიკა დავგეგმოთ, პოლიტიკური მოძრაობა კიდევ უფრო გააქტიურდება, პარტიის პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა იყოს დაკავებული ყოველდღიური აქტიური პოლიტიკური საქმიანობით. ყრილობაზე ავირჩევთ ახალ ხელმძღვანელ ბირთვს, რომელიც აქტიურად იმუშავებს ყოველდღიურ რეჟიმში. მე მჯერა, რომ ჩვენი ორგანიზაციის პოლიტიკური მრწამსი და ეკონომიკურ აქტივობაში ჩართული პროფესიონალების წარმატებული საქმეები რეალურ შედეგს აუცილებლად გამოიღებს.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# ელემენტარული ზრდილობის თხოვნა

"Автор - в тесном смысле - сочинитель какого-либо письменного произведения, то же, что писатель, поэтому говорят например о классических авторах. В обширном смысле Автором называется творец всякого литературного, музыкального и художественного произведения и вообще всякого произведения ума, воплощенного искусством, воспроизведение и распространение которого постороннему лицу возбраняется..." Энциклопедический словарь. Брокгауз и Ефрон. Том I.

ეს მცირე ამონაწერი იმათთვის მოვიყვანე, ვინც სიტყვა ავტორის მნიშვნელობა ან არ იცის, ან არ უნდა, რომ იცოდეს. ალბათ, მიპასუხებენ, ამ 21-ე საუკუნეში რაღა დროის ბროკჰაუზი და ეფრონიაო, მაგრამ მგონია, რომ ბევრი ისეთი სიტყვა არსებობს, რომელთა ცნება მარადიული და უცვლელია.

წლების წინ მამაჩემის, მხატვარ კოკა იგნატოვის მიერ შექმნილი საქართველოს მხატვრული რუკა ერთ-ერთმა წარმატებულმა ბიზნესმენმა პლაკატებად ფარულად დაბეჭდა და კომერციაში გამოიყენა. მაშინ მამაჩემმა სასამართლოს მიმართა და საკუთარი უფლებების დაცვა კანონის მეშვეობით სცადა. ბიზნესმენის უკან ძლიერი მფარველები იდგნენ და მამაჩემის, როგორც ამ რუკის ერთპიროვნული ავტორის ინტერესები, ღირსება სამართლიანი საბჭოთა სასამართლოს მიერ შესაბამისად არ იქნა დაცული. ეს საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა პერიოდში მოხდა, როდესაც არც სასამართლოს ობიექტურობის სჯეროდა ვინმეს და არც ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან შეჭიდებას ჰქონდა რაიმე აზრი. ეს ისე, ამბად მოგიყევით. ახლა კი მოდით, დღევანდელობას დავუბრუნდეთ, რომელმაც, უნებლიეთ, ეს ამბავი მომაგონა.

ბოლო პერიოდში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ხელისუფლება საზოგადოებისადმი, მისი აზრისადმი, ცალკეული პიროვნებისადმი მიზანმიმართული უპატივცემულობის, იგნორირების დემონსტრირებას ცდილობს. იბადება ბუნებრივი შეკითხვა - რატომ? ბოლო კვირის არაერთი ტელედებატის, კამათის, გამოსვლებისა და კომენტარების მიუხედავად, პასუხი ამ თითქოსდა მარტივ შეკითხვაზე, მე პირადად, ვერ მივიღე. ჩემთვის სრულიად აუხსნელია, როდესაც არამცთუ ქალაქის მერი, რიგითი ბიუროკრატი, არამედ თავად ხელოვანი, მხატვარიც კი, რომელიც მერისგან განსხვავებით სიტყვა ავტორის მნიშვნელობაში, მისადმი პატივისცემაში, მის უფლებებში ნამდვილად უნდა ერკვეოდეს, ავტორისადმი ასეთ უტაქტობას ავლენს. უცნაურია, როდესაც ძეგლის გადატანისას ან შენობის დეკორირებისას არც ხელისუფალს და არც, მით უმეტეს ხელოვანს, მათი ავტორები არ ახსენდებათ, აზრადაც არ მოსდით, რომ ყველაფერს ფორმა განაპირობებს და ნებისმიერი საკითხი შეიძლება ტაქტიანად გადაიჭრას. ავტორებთან შეთანხმება, მათი მოსაზრების მოსმენა, ხედვის გაზიარება არც ისე რთული მეჩვენება. ნუთუ, ელემენტარული ზრდილობა მათი წარმოდგენით ღირსების შეურაცხმყოფელია?

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი და ქალაქის მერის გემოვნება დავით ალმაშენებლის ძეგლის შემთხვევაში აბსოლუტურად ემთხვევა, მაინც მიკვირს, რატომ არ შეიძლებოდა გადაწყვეტილების მიღებამდე ქანდაკების ავტორთან შეხვედრა, მისი აზრის გაგება, ცოტა უფრო ტაქტიანად მოქმედება.

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში ყველა დიდი დაკვეთა სახელმწიფოს მიერ კეთდებოდა, საკმაოდ მაღალი ჰონორარებით ნაზღაურდებოდა და, შესაბამისად (მაგალითად მამაჩემის ყველა კედლის მოხატულობა), სახელმწიფოს ეკუთვნოდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნებისმიერ ახალ მერს ან მით უმეტეს მამაჩემის რომელიმე კოლეგა მხატვარს თავისი პირადი მოსაზრებით მათი გადახატვა, შესწორება, ნაწილნაწილ დაჭრა, ზედ რამის დახატვა ან გადატანა შეუძლია.

საინტერესოა, რა რეაქცია ექნება გია ბუღაძეს, მისი რომელიმე ნამუშევარი მასთან შეუთანხმებლად რომ შეცვალონ, გადაიტანონ ან ერთი დიდი ტილო რამდენიმედ დააქუცმაცონ, პასუხად კი მიაგონ, რომ მას დიდძალი ჰონორარი უკვე აღებული აქვს და მეტი აღარაფერი ეკითხება. აი, ახლა სანდრა რულოვსის ახალი წიგნი გამოვიდა. რომელიმე გამომცემელმა ამ წიგნს ცოტა უფრო სენტიმენტალური სათაური რომ მოუგონოს, ყდა გამოუცვალოს და სანდრას არ შეეკითხოს, მოეწონებათ?

ნუთუ ავტორთან, უბრალოდ, შეთანხმება ესოდენ რთულია? ნუთუ ამას ელემენტარული ზრდილობა სჭირდება? ზრდილობა, რომლის ენციკლოპედიური განმარტების მოყვანა ზედმეტი მგონია. საქართველოში, საბედნიეროდ, ამ ცნებას ჯერ საბოლოოდ თავისი მნიშვნელობა და გამგებები არ დაუკარგავს.

**თუ ჩვენი მინისტრები პატარა ქვეყნის პატარა მინისტრები არიან, როგორც ეს ამ კვირაში პრეზიდენტმა ბრძანა, მაშინ გამოდის, რომ მეც პატარა ქვეყნის პატარა მოქალაქე ვარ?! ეს დახასიათება, რაღაც, არ მომწონს.**

# დროს ალღო ავუღოთ

















რამდენიმე წლის წინ, როდესაც თბილისის ახალ-ახალი, ერთი-მეორეზე გაუმართლებელი შენობებით გალამაზება-განაშენიანების ისტერიული პროცესი დაიწყო და ეს თემა თბილისელებისთვის ყველაზე აქტუალურმტკივნეული გახდა, პარიზში ვიყავი და მიუხედავად იმისა, რომ ამ ულამაზეს ქალაქში ადრეც ვყოფილვარ, თითქოს ამჯერად თვალი ამეხილა და სრულიად ახლებურად დავინახე, რომ ევროპის უნიკალურ დედაქალაქში, ფაქტობრივად, არც ერთი დიდი თუ პატარა ისეთი ქუჩა არ არსებობს, სადაც ძველი, ისტორიული შენობის პარალელურად ულტრათანამედროვე არ იყოს აშენებული. გარდა იმისა, რომ ფრანგებმა თავის დროზე ეიფელის კოშკი წამოჭიმეს, წარმოუდგენელი სითამამე გამოიჩინეს და, არც მეტი არც ნაკლები, თვით ლუვრის წინ დიდი შუშის პირამიდის აშენება გარისკეს, პალე როიალის ისტორიული ეზო თანამედროვე კონცეპტუალურ-დეკორატიული ქანდაკებებით გაათანამედროვეს, მათთვის ასეთი საამაყო, სათაყვანებელი პარიზის არც ერთი ქუჩა, მოედანი ისე არ დატოვეს, რომ ქალაქის საერთო მასშტაბის, ფერის, სტილის, სახის სრული შენარჩუნებით, ახალი ძველთან არ იყოს შეთავსებული. პარიზმა საკუთარი ესთეტიკა არა სიახლესთან ბრძოლით, არამედ საერთო კონტექსტის მკაცრი დაცვით, დროის მოთხოვნების დაკმაყოფილებით, მათზე აყოლით შეინარჩუნა. კარგად მახსოვს, პარიზის ფართე ავენიუებზე, სანაპიროზე, ბულვარებში თუ ვიწრო ქუჩებში საათობით როგორ ვსეირნობდი და ადრე ჩემთვის შეუმჩნეველ თანამედროვე შენობებს ვითვლიდი. ნამდვილად ძნელია იმის თქმა, რომ თითოეული მათგანი თანამედროვე არქიტექტურის შედევრს წარმოადგენს, მაგრამ ქალაქი იზრდება, მოსახლეობა მატულობს, მოთხოვნები იცვლება, უნიკალური, ისტორიული ნარჩუნდება, კონსერვირდება, ღირებულებების არმქონე ძველი ინგრევა და მას ახალი, დროის შესაბამისი, თანამედროვე, კომფორტული ცვლის. ერთი, რაც წლების წინ პარიზის ქუჩებში სეირნობისას აშკარა იყო, რომ არც ერთი ახალაშენებული შენობა ძველის კოპირება არ იყო. დღეს თუ შენდება, მართლაც დღევანდელი, თანამედროვე და არა ძველის გროტესკული კარიკატურა შენდება. დარწმუნებული ვარ, რომ კოპირება გამართლებული რომ ყოფილიყო, ფრანგები როგორმე ამასაც მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი გემოვნებით მოახერხებდნენ.

ამ ორი კვირის წინ ლონდონში ვიყავი. შესანიშნავი, მზიანი ამინდები იყო. მთელი დღეები ქუჩებში სეირნობის, დათვალიერების, ძველი და ახალი ბრიტანული არქიტექტურის ზოგადი ტენდენციის შესახებ სრულიად დილეტანტური დასკვნის გაკეთების საშუალება მომეცა.

ჩემი ზედაპირული, არაპროფესიული მსჯელობით თავს არ მოგაბეზრებთ, მაგრამ ლონდონში გადაღებული ფოტოების ნაწილს მაინც შემოგთავაზებთ და შეიძლება არა პარიზის ან ლონდონის, მაგრამ მაინც ძალიან ლამაზი ქალაქის - თბილისის ერთი რიგითი მოქალაქის შეხედულებას გაგანდობთ.

ფაქტია, რომ მსოფლიოს ორ ულამაზეს, მძლავრ, უძველეს, ტრადიციებითა და კულტურით, სტილებითა და ეპოქებით, ცოდნითა და საკუთარი ისტორიისადმი ფაქიზი დამოკიდებულებით, კონსერვატიზმით გამორჩეულ დედაქალაქებში დღეს აშენებენ ისე, როგორც ეს დღეს უნდა ხდებოდეს. ვიქტორიანული, გოთიკური ან ბაროკოს სტილის შედევრებს შესაშური სითამამით, მაგრამ ამავე დროს წარმოუდგენელი ტაქტით, 21-ე საუკუნის შენობებს უხდენენ, რომლებიც არამცთუ ავნებს გვერდზე მდგომ უნიკალურს, არამედ პირიქით, კიდევ უფრო მომგებიან ფონს უქმნის, ხაზს უსვამს მის განუმეორებელ სიძველესა და დახვეწილობას. ძველის მიბაძვის, კოპირების ტენდენცია კი ნამდვილად არსად შეიმჩნევა, რაც სრულიად ბუნებრივი მგონია. არქიტექტურა ხომ ეპოქის ამსახველი ერთ-ერთი ყველაზე აშკარა სახეა და იგი ელემენტარული ტყუილის, სიყალბის უფლებას არ იძლევა. დღეს გუშინდელს ვერ ააშენებ და ამას ყოველთვის უსუსური კიტჩის სახე უფრო ექნება, ვიდრე ღირებული არქიტექტურისა. კოპირება წარსულის პატივისცემა კი არა, მისი გაშარჟება, გაუფასურება, დამახინჯება უფრო გამოდის.

წლები გავიდა, პარიზში დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ, ლონდონის შთაბეჭდილებები ჯერაც არ გამნელებია, თბილისის ოდნავ კონტროლირებული განაშენიანება გრძელდება, მაგრამ ძველის კოპირების, სტილების აღრევის, ეკლექტიკის, დროში ხელოვნურად უკან დაბრუნების უცნაური ტენდენცია ჩვენთან აშკარად შეიმჩნევა. ანჩისხატის გვერდზე აშენებულ-მიშენებულ-გალამაზებული რესტორანი "ამბასადორი" უკულტურობის ერთ-ერთი ყველაზე აშკარა მაგალითი მგონია (პრინციპულად არც შევდივარ). მისი შემხედვარე ვერც ერთი არქიტექტურის ექსპერტი, ხელოვნებათმცოდნე ვერ იტყვის როდის, რა სტილში, გემოვნების რომელი კრიტერიუმის დაცვით აშენდა ამგვარი ეკლექტიკა. ერთი, რისი თქმაც დარწმუნებით შეიძლება, "ამბასადორი" უგემოვნობის, უტაქტობის, უცოდინრობისა და უკანონობის შედეგია. ყაზბეგის ქუჩისა და მელიქიშვილის გამზირის კუთხეში საცხოვრებელი სახლის მიმდინარე მშენებლობის ღობეზე სახლის საბოლოო იერსახის ამსახველი ბილბორდია გაჭიმული. მას რომ ვუყურებ, უნებლიეთ ძველი ქართული კინოფილმი "აბეზარა" მახსენდება და ასე მგონია, რომ აი ახლა აივანზე დადებითი, შეყვარებული არქიტექტორი გამოვა, რომელმაც ჰუმანური, ხალხზე მზრუნველი საბჭოთა მთავრობისგან დიდაივნიანი ბინა მიიღო. სულ ცოტა ხნის წინ ავლაბარში, მოედანზე დიდი პომპეზურობით ახალი შადრევანი გაიხსნა. შადრევნის წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ რა საჭირო იყო სამოციანი წლების სამხატვრო კომბინატში დამზადებული შადრევნის გამეორება? მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქში თანამედროვე, ერთი მეორეზე საინტერესო შადრევნების იმდენი მაგალითი არსებობს! ჯერ გვენახა და თუ გადმოღებაა, ბარემ ასეთი გადმოგვეღო! ბათუმის ბულვარში ახალი საცხოვრებელი სახლი შენდება, რომლის არქიტექტურული სტილის აღწერას მე ნამდვილად ვერ შევძლებ, ამას უფრო რომელიმე მწერალი ფანტასტი თუ მოახერხებს. სახლს თამამად შეიძლება "დროში მოგზაური" შევარქვათ და საუკუნიდან საუკუნეში გავყვეთ. განაშენიანების სრულიად ბუნებრივი ტენდენცია ადრე თუ გვიან ძველ თბილისსაც შეეხება, რომელშიც გასული წლების განმავლობაში უკვე არაერთი ვანდალური, გამოუსწორებელი შეცდომაა დაშვებული. დედაქალაქის ამ კოლორიტული, უნიკალური უბნის შენობათა დიდი ნაწილი რესტავრაციას, კონსერვაციას, გამაგრებას, შენარჩუნებას, ბევრიც კი, როგორც არანაირი ისტორიულ-მხატვრული ღირებულების მქონე, უბრალოდ დანგრევას ითხოვს. აი, თუ რა უნდა აშენდეს მათ ადგილას, ამას კი ძალიან ფრთხილი და ამავე დროს თამამი, პროფესიული, ტაქტიანი მიდგომა სჭირდება, რომელიც, ჩემი აზრით, დროის შესაბამისი უნდა იყოს. საზოგადოებამ უკვე დაიწყო დავა იმის თაობაზე, თუ რა ტიპის შენობა უნდა აშენდეს წლების წინ დანგრეული მხატვრის სახლის ტერიტორიაზე. ძველი შენობის ზუსტი სახე აღდგეს თუ ულტრათანამედროვე აშენდეს. დამანგრეველი თბილისის ომის შემდეგ მხატვრის სახლისა და სასტუმრო "თბილისის" ფასადები დაახლოებით ერთნაირად დანგრეულ-შენარჩუნებული იყო, მაგრამ სასტუმროსგან განსხვავებით, მხატვრის სახლის ფასადის ნარჩენებიც კი ერთ მშვენიერ დღეს მიწასთან გაასწორეს. ახლა კი აღდგენაზე ვფიქრობთ? მგონია, რომ, სამწუხაროდ, უკვე გვიანაა. რაც მოხდა, მოხდა. წარსულს ველარ დააბრუნებ.

საქართველოში სტალინის პერიოდის არქიტექტურის კოპირება თითქოს მოდაში შემოვიდა. არადა, ეს გამოხატული სტილი სწორედ ერთ კონკრეტულ ეპოქას, პოლიტიკურ-იდეოლოგიურ პერიოდს, მართვას ასახავს და დღეს მისი გამეორება სასაცილოა! მაინც არ გამოვა!

რა მოხდება, რომ კოპირების, გამეორების ამ უცნაურ, მოგონილ, გაუმართლებელ ტენდენციას, ველოსიპედის გამოგონებას მოვეშვათ. ევროპის დედაქალაქებს მივბაძოთ და გაუგებარი ეკლექტიკური კიტჩების აშენების ნაცვლად ქართველ და უცხოელ არქიტექტორებს მათი თანამედროვე ხედვის, ტალანტის მაქსიმალური გამოვლინების, რეალიზაციის საშუალება მივცეთ. ამ ხედვის ტაქტიანობა, პროფესიონალიზმი, შესაბამისობა გავაკონტროლოთ და ამით თბილისს თანამედროვე, მაგრამ დიდი ტრადიციების, ისტორიის, წარსულის მქონე დედაქალაქის იერსახე მივცეთ.

დროში მოგზაურობას მოვეშვათ. დროს ნუ ვეწინააღმდეგებით. გუშინდელი - გუშინდელი და მოსავლელია. დღევანდელი - დღევანდელი და გასაუმჯობესებელია. ჩვენ კი ვეცადოთ, ცოტა ხვალინდელზეც ვიფიქროთ.

# სასამართლო რეფორმა დაპირისპირებას იწვევს

*პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა გუშინ ხმაურისა და დაპირისპირების ფონზე ჩატარდა. იურიდიული კომიტეტის წარმომადგენელთან ნიკა გვარამიასთან მწვავე დაპირისპირების გამო, კომიტეტის სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა დეპუტატმა ვალერი გელბახიანმა. პარლამენტარებს შორის დაპირისპირების მიზეზი გახდა სასამართლო რეფორმა, რომლის კონცეფციაზეც ვრცლად ისაუბრა იუსტიციის საბჭოს მდივანმა ვალერი ცერცვაძემ. სასამართლო რეფორმის კონცეფციის განხილვას მოსამართლეები, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.*

რამდენად დამოუკიდებელი იქნება იუსტიციის საბჭო მაშინ, როცა მის შემადგენლობაში პროკურორებიც შევლენ და აპირებს თუ არა იუსტიციის საბჭო შევიდეს პარლამენტში საკანონმდებლო ცვლილებებით, რომელიც მოსამართლეთა ასაკის შემცირებას ეხება - ამ კითხვებზე პასუხი ვალერი გელბახიანმა იუსტიციის საბჭოს მდივნისგან ვერ მიიღო. ამის შემდეგ მან სასამართლო რეფორმას პოლიტიკური შეფასებები მისცა. სწორედ ამ შეფასებებმა გამოიწვია ნიკა გვარამიას გაღიზიანება.

გელბახიანი გუშინ ირწმუნებოდა, რომ ნიკა გვარამია კაბინეტში იბარებს მოსამართლეებს და მათ დათხოვნით ემუქრება.

**"პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დავასახელებ იმ სამი მოსამართლის გვარს, ვისაც გვარამია სასამართლოდან დათხოვით ემუქრება,"** - ამ სიტყვების შემდეგ ვალერი გელბახიანმა კომიტეტის სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა.

კონცეფციაში, რომელიც იუსტიციის საბჭოს მდივანმა წარადგინა კომიტეტის სხდომაზე, ახალი მხოლოდ ისაა, რომ საოლქო სასამართლოები უახლოეს მომავალში სპეციალური ტელე-ვიდეო აპარატურით აღიჭურვება.

ვალერი ცერცვაძის განმარტებით, სასამართლოებში ხშირად უხერხული მდგომარეობა იქმნება, რადგან, შესაბამისი აპარატურის უქონლობის გამო, სასამართლო პროცესებზე დაცვის ან ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ვიდეომასალების ჩვენება ვერ ხერხდება. სწორედ ამიტომ, განახლებულ დარბაზებში აუცილებლად დამონტაჟდება ეკრანი, რომლის დახმარებითაც, სასამართლო სხდომებზე ყველა ვიდეომტკიცებულება თუ სლაიდი გამოქვეყნდება.

**"თავის დროზე ის თანხები, რომელიც სასამართლოს შენობების გარემონტებისთვის იყო გამოყოფილი, ჯიბეებში ილექებოდა. დღეს კი შევძელით ამ თანხების გამომზეურება და ვახორციელებთ სასამართლოების რემონტს. გარემონტებულ შენობებში პატიმრებს, მოსამართლეებსა და მოქალაქეებს სხვადასხვა, ერთმანეთისგან იზოლირებული შესასვლელი ექნებათ",** - განაცხადა იუსტიციის საბჭოს მდივანმა ვალერი ცერცვაძემ. მისივე ინფორმაციით, 2006 წლის თებერვალსა და მაისში მოსამართლეთა ახალი გამოცდები ჩატარდება.

როგორც გაირკვა, საქართველოს სასამართლო სისტემაში ამჟამად ვაკანტურია 70-80 მოსამართლის თანამდებობა.

**"დასრულდება რაიონული სასამართლოების გაერთიანება და სულ ჩამოყალიბდება 14 რაიონული სასამართლო,"** - აცხადებს იუსტიციის საბჭოს მდივანი.

შეგახსენებთ, რომ სასამართლო სისტემის რეფორმის ფარგლებში, უზენაესი სასამართლო - საკასაციო, ხოლო საოლქო სასამართლოები სააპელაციო სასამართლოებად ჩამოყალიბდება. შემოვა ახალი ინსტიტუტი - მაგისტრი მოსამართლე, რომელიც ადგილზე და ეფექტურად განიხილავს შედარებით ნაკლები სირთულის საქმეებს.

**"სასამართლო სისტემის რეფორმა 5 მიმართულებით მიმდინარეობს. ეს არის ინსტიტუციონალური, საკადრო, საკვალიფიკაციო რეფორმა და რეფორმა სოციალური გარანტიებისა და სასამართლო სისტემის გამარტივების კუთხით,"** - განაცხადა საკომიტეტო სხდომაზე იუსტიციის საბჭოს მდივანმა.

*24 საათი*

# ვაჟა ადამია ჯერ არ დაუკითხავთ



*ვაჟა ადამიას ადვოკატები ზაზა ბუაჩიძე და მაკა გოგოხია.*

პირველი გვერდიდან

**"ამის მიუხედავად, "თელასის" თანამშრომლები 600-ლარიანი საჯარიმო აქტის შედგენას მაინც შეეცადნენ. აღნიშნულის გამო, "თელასის" თანამშრომლებსა და ვაჟა ადამიას ძმას, ზურაბ ადამიას შორის ურთიერთშელაპარაკება, შემდგომ ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოხდა, რის საფუძველზეც თავად ზურაბ ადამიას ტვინის შერყევა აქვს,"**- განაცხადა კუპრეიშვილმა. მისივე თქმით, აღნიშნულ ინციდენტში ჩაერთო ვაჟა ადამიაც, მას თავის დაცვა მოუხდა და გამაფრთხილებელი გასროლა მოახდინა ასფალტის მიმართულებით, რის შედეგადაც ანასხლეტი ტყვიით "თელასის" ერთ-ერთი თანამშრომელი დაიჭრა.

მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრები აცხადებენ, რომ მომხდარი ინციდენტი საყოფაცხოვრებო შემთხვევის ფარგლებს სცდება და ეს ფაქტი წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია იყო.

*24 საათი*

# გამოცხადდება თუ არა დაკითხვაზე რუსთავის ყოფილი მერი?

*ქვემო ქართლის მხარის პროკურორი შოთა რეხვიაშვილი საკმაოდ გაღიზიანებულია მედიის ინტერესით, რომელიც რუსთავის ყოფილი მერის მერაბ ტყეშელაშვილის პროკურატურაში ოფიციალურად დაბარებამ გამოიწვია. მისი თქმით, არაფერი განსაკუთრებული არ ხდება და ეს ტყეშელაშვილის პირველი დაკითხვა არ არის.*

**"მერაბ ტყეშელაშვილი ერთხელ უკვე დაიკითხა მოწმის სტატუსით. ეს ჯერ კიდევ მაშინ მოხდა, როცა ის რუსთავის მერი იყო. მას შემდეგ გამოძიებას გაუჩნდა დამატებითი კითხვები, ამიტომ მას გაეგზავნა უწყება, ისევ მოწმის სტატუსით დასაკითხად,"** - განუცხადა "24 საათს" შოთა რეხვიაშვილმა.

ქვემო ქართლის პროკურორი, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ აკონკრეტებს, რა დამატებითი კითხვები აქვს პროკურატურას ტყეშელაშვილის მიმართ. მისი თქმით, საქმე რამდენიმე თვის წინ 332-ე მუხლით აღიძრა, რუსთავის მერიის ჩინოვნიკების მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების გამო და ამ დროისათვის დაკავებულია რუსთავის მერიის სამი ყოფილი ჩინოვნიკი - კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი ილია ხამისი, ქალაქგაფორმების სამსახურის უფროსი სოსო ბეშკენაძე და ფინანსური სამსახურის უფროსი გოჩა დეკანოსიძე. მათ საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივად გაფლანგვაში სდებენ ბრალს და წინასწარი სამთვიანი პატიმრობაც აქვთ შეფარდებული.

რაც შეეხება მერაბ ტყეშელაშვილს, ის რუსთავის მერიიდან წასვლის შემდეგ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელად გადავიდა. რუსთავის ყოფილი მერის მამა მელორ ტყეშელაშვილი აცხადებს, რომ მერაბ ტყეშელაშვილი 15 დღეა, რაც საქართველოში არ იმყოფება, რადგან უცხოეთში სამკურნალოდ არის წასული და სავარაუდოდ რამდენიმე დღეში დაბრუნდება. თუმცა, ვრცელდება ხმები იმის შესახებაც, რომ მერაბ ტყეშელაშვილი, უახლოეს მომავალში, საქართველოში დაბრუნებას არ აპირებს. ამის მიზეზად მის წინააღმდეგ დაწყებული პოლიტიკური დევნა სახელდება.

მიუხედავად ამისა, ოლქის პროკურორის შოთა რეხვიაშვილის თქმით, ის დარწმუნებულია, რომ მერაბ ტყეშელაშვილი დაკითხვაზე აუცილებლად მივა. **"მასზე ძებნის გამოცხადების არანაირი საფუძველი არ გამაჩნია,"** - ამბობს პროკურორი.

ამავე დროს, მელორ ტყეშელაშვილი საუბრობს მერაბ ტყეშელაშვილსა და ქვემო ქართლის საოლქო პროკურორს შოთა რეხვიაშვილს შორის არსებულ პირად უთანხმოებაზე და ყოფილი მერის პროკურატურით დაინტერესებას აღნიშნულ დაპირისპირებას უკავშირებს. ოლქის პროკურორი კი ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს.

*24 საათი*

# სპეცოპერაციისას კრიმინალური ავტორიტეტი დაიღუპა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციისას ლიკვიდირებული იქნა ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტი, წარსულში მძიმე ბრალდებებით ნასამართლევი, სოფელ იანეთის მცხოვრები კახაბერ კოხრეიძე, რომელიც ამჯერად, პოლიციელის მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, კოხრეიძე, თანამზრახველებთან ერთად, ერთი კვირის წინ სამტრედიის რაიონში თავს დაესხა იმერეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომელს.

კახაბერ კოხრეიძემ კრიმინალურ პოლიციასა და სპეცდანიშნულების რაზმს სპეცოპერაციის მსვლელობისას ცეცხლი გაუხსნა, რასაც საპასუხო სროლა მოჰყვა.

საუბარია, ათიოდ დღის წინათ, სამტრედიის რაიონში, სამართალდამცველებსა და ყაჩაღობაში ეჭვმიტანილებს შორის მომხდარ შეტაკებაზე, რომელსაც ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. შეტაკება სოფელ კულაშში მოხდა, მას შემდეგ, რაც პოლიციამ პატრულირებისას რამდენიმე საეჭვო პირი შეამჩნია. სამართალდამცველთა ვარაუდით, ისინი ერთ-ერთი ოჯახის გაძარცვას გეგმავდნენ. ორმხრივ სროლას ემსხვერპლა პოლიციის თანამშრომელი, 28 წლის დავით კვანტალიანი. მოკლეს ერთ-ერთი ყაჩაღიც. ორმა ეჭვმიტანილმა კი გაქცევა მოახერხა. სპეცოპერაციის დასრულებიდან რამდენიმე საათში სოფელ კულაშში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილიც ჩავიდა, რომელმაც სამძიმარი გამოუცხადა გარდაცვლილი სამართალდამცველის ოჯახს და განაცხადა: **"ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ყაჩაღებმა, რომლებმაც პოლიციელი სასიკვდილოდ გაიმეტეს, პასუხი აგონ კანონის წინაშე".**

შინაგან საქმეთა მინისტრმა დანაპირები შეასრულა კიდეც. მიმალულ ძებნილთა დაკავების ოპერაციას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან გვაზავა ხელმძღვანელობდა. სწორედ მისი თაოსნობით ჩატარებული ოპერაციისას იქნა ლიკვიდირებული კახაბერ კოხრეიძეც.

*24 საათი*

## მოკლედ

### ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში მუშაობა ანა დოლიძეს შესთავაზეს

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარეს ანა დოლიძესაც შესთავაზეს. პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ელენე თევდორაძის განცხადებით, პარლამენტის თავმჯდომარის დავალების შესაბამისად, ახალშექმნილი ჯგუფი ყველა იმ პატიმრის საკითხს შეისწავლის, რომელიც 30 ლარამდე თანხის ან ფულის ქურდობის გამოა დაკავებული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფი პროკურატურის წარმომადგენლებსაც მოიწვევს. **"არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ რასაც მოითხოვს პროკურატურა, სასამართლოც იმავე გადაწყვეტილებას იღებს",** - აღნიშნა ელენე თევდორაძემ. ელენე თევდორაძეს აინტერესებს, აქვს თუ არა გათვლილი აღმასრულებელ ხელისუფლებას ის ხარჯი, რა უჯდება ამგვარი კატეგორიის პატიმრების შენახვა სახელმწიფოს. მისი თქმით, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" აქტიურად ჩაერთვება აღნიშნული საკითხის შესწავლის პროცესში. **ინტერპრესნიუსი**

### გორში დაკავებული ადვოკატი "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან" სამი წელია გარიცხულია

არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ინფორმაციით, თაღლითობის ბრალდებით დაკავებული ადვოკატი მამუკა ნოზაძე სამი წელია, რაც ორგანიზაციიდან გარიცხულია. როგორც "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელი თამუნა სარაჯიშვილი აცხადებს, ნოზაძეს ორგანიზაციის წევრობის უფლება დაახლოებით სამი წლის წინ, საწევროს გადაუხდელობის მოტივით შეუწყდა. არადა, სატელევიზიო ეთერით გავრცელებულ ინფორმაციაში, მამუკა ნოზაძე არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ადვოკატად დასახელდა. **ინტერპრესნიუსი**

### სოხუმში "უნივერსალბანკიდან" 80 ათასი დოლარი გაიტაცეს

სოხუმში მოქმედი "უნივერსალბანკიდან" 80 ათასი დოლარი გაიტაცეს. ყაჩაღობა გუშინწინ მოხდა, იმ დროს, როდესაც ინკასატორს "ნაციონალური ბანკიდან" თანხა ქუჩის მეორე მხარეს მდებარე კომერციულ "უნივერსალბანკში" გადაჰქონდა. აფხაზი სამართალდამცველების ინფორმაციით, "ნაციონალური ბანკიდან" გამოსვლის შემდეგ, ინკასატორის წინ მსუბუქი ავტომანქანა გაჩერდა, რის შემდეგაც მანქანიდან გადმოსულმა ნიღბოსანმა ინკასატორს იარაღის მუქარით თანხა წაართვა და დაუდგენელი მიმართულებით მიიმალა. მომხდართან დაკავშირებით შექმნილ საგამოძიებო ჯგუფს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ზაკან ჯუგელია ხელმძღვანელობს. მისი ინფორმაციით, ყაჩაღობის საქმეზე დაკავებულია 8 მოქალაქე. ეჭვმიტანილთა შორის არიან ინკასატორი, "უნივერსალბანკის" მმართველი, ამავე ბანკის დაცვის სამსახურის უფროსი და სხვები. დღეისთვის, აფხაზეთის ტერიტორიაზე 14 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს. **ინტერპრესნიუსი**


თი ბი სი ბანკი პლასტიკურ ბარათებს უბრუნებს თავის ძირითად, საკრედიტო ფუნქციას!

თი ბი სი ბანკის საკრედიტო ბარათები...
სესხის აღების მარტივი, თანამედროვე და მოსახერხებელი საშუალება.

საკრედიტო ბარათის უპირატესობები:
- კრედიტი ხელმისაწვდომია 24 საათის განმავლობაში, მსოფლიოს მილიონობით მაღაზიასა და ბანკომატში;
- კრედიტის გამოყენება შეგიძლიათ ნებისმიერი მიზნობრიობით;
- უზრუნველყოფა არ მოითხოვება;
- თქვენთვის დამტკიცებული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში თქვენ შეგიძლიათ აიღოთ, დაფაროთ და შემდეგ ხელახლა აიღოთ კრედიტი.

ყურადღება!!! 5 დღიანი საშეღავათო პერიოდი!

საკრედიტო დავალიანების წარმოქმნიდან 5 დღის განმავლობაში სესხის მთლიანად დაფარვის შემთხვევაში, თქვენს ანგარიშს პროცენტი საერთოდ არ დაერიცხება!
(ანუ თქვენ ისარგებლებთ 0%-იანი სესხით.)

საკრედიტო ბარათის პირობები:

კრედიტის თანხა: 200-დან 10,000 აშშ დოლარამდე
საპროცენტო განაკვეთი: წლიური 23%*
* პროცენტი მოიცავს უზრუნველყოფის, უბედური შემთხვევით გამოწვეულ დროებით ან მუდმივ შრომისუუნარობის და სიცოცხლის დაზღვევას.

თქვენ შეგიძლიათ დღესვე შეუკვეთოთ საკრედიტო ბარათი:
თუ თქვენი შემოსავალი შეადგენს მინიმუმ 300 აშშ დოლარს და ამასთან,
- გაქვთ კარგი საკრედიტო ისტორია ან გერიცხებათ ხელფასი რომელიმე ბანკში;
ან
- ბრძანდებით თიბისი ბანკის კლიენტი კომპანიის დამფუძნებელი, მენეჯმენტის წევრი ან თანამშრომელი;
ან
- გაქვთ მაღალი ბრუნვა ანგარიშზე თიბისი ბანკში.






ნუ დააყოვნებთ! დღესვე მიმართეთ თიბისი ბანკის ნებისმიერ თბილისის ფილიალს, ან შეავსეთ ელექტრონული განაცხადი ჩვენს ინტერნეტ გვერდზე.
www.tbcbank.com
ტელ: 27 27 27

ახალი პირობები 1 ნოემბრიდან
საავანსო სისტემის აბონენტთათვის!
ჯეოსელი გთავაზობთ გაცილებით ხელსაყრელ პირობებს:
თქვენი ნომერი ცალმხრივად გაითიშება ბალანსზე თანხის ამოწურვის შემთხვევაში (0 ლარის მიღწევისას)
ნომრის ცალმხრივად გათიშვის შემდეგ თქვენ შესაძლებლობა გექნებათ შემომავალი ზარები მიიღოთ 15-დღის განმავლობაში.
ამ 15 დღის განმავლობაში სააბონენტო გადასახადი აღარ დაგერიცხებათ.
შეგახსენებთ, რომ გათიშვის შემდეგ ნომრის ორმხრივად ჩართვისთვის ბალანსზე თანხამ უნდა შეადგინოს 5 ლარი.
ჯეოსელი GEOCELL

"რაც კი გაუკეთეთ ერთ ჩემს მცირე ძმათაგანს, მე გამიკეთეთ"
(მათე 25, 40)
კომპანია "ჯეოსელის" საქველმოქმედო აუქციონი
კომპანია "ჯეოსელი" სათნოების სახლ "კათარზისისთვის" აწყობს საქველმოქმედო აუქციონს.
აუქციონზე გასაყიდად წარმოდგენილია "ჯეოსელის" ქსელში ჩართული განსხვავებული ნომერი:
855 55 55 55
ჯეოსელი GEOCELL
შემოსული თანხა მთლიანად გადაეცემა სათნოების სახლს
გაუხანგრძლივე სიცოცხლე მარტოხელა ხანდაზმულებს!
გადაიხადე მეტი და გახდი ქველმოქმედი!
ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით სხვა ხაზზე:
855 55 55 00
ანონიმურობა დაცულია

ჭადრაკი

# პირველი გამარჯვების მოლოდინში



აზმაიფარაშვილი სვიდლერთან დამარცხდა.

საქართველოს ვაჟ მოჭადრაკეთა ნაკრებმა გუნდმა ისრაელში მიმდინარე მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე ზედიზედ მესამე მარცხი განიცადა. ამჯერად ჩვენი მოჭადრაკეები ტურნირის ლიდერ რუსეთთან - 2,5:1,5 დამარცხდნენ და დღეისთვის სატურნირო ცხრილში 4 ქულით მეექვსე-მერვე ადგილებს იყოფენ აშშ-ისა და უკრაინის გუნდებთან.

პირველ დაფაზე ზურაბ აზმაიფარაშვილმა პეტრ სვიდლერთან დათმო მატჩი და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ რუსებს დაემარცხებინათ ქართველი დიდოსტატები. ამ გამარჯვებით რუსეთის ნაკრებმა 8 ქულა მოაგროვა და სატურნირო ცხრილში პირველობას ინარჩუნებს.

მეორე ადგილზე ჩინეთის ვაჟთა გუნდმა გადაინაცვლა, რომელმაც მესამე ტურის შეხვედრაში კუბა - 3,5:0,5 დაამარცხა. ჩინელებმა 7,5 ქულა მოაგროვეს, მაგრამ ეს შედარებით სუსტ გუნდებთან შეძლეს. საკმარისია ითქვას, რომ ჩინეთმა პირველ ტურში - 4:0 მოუგო თავისივე ქვეყნის ქალთა გუნდს, რაც აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო.

ამდენად, თუ ამ ფაქტს გავითვალისწინებთ, სარწმუნოა ვიფიქროთ, რომ საქართველოს ნაკრები დამაჯერებლად უნდა ეთამაშოს მომდევნო ტურში ჯერ ჩინეთის ქალთა გუნდს, შემდეგ კი მათივე ვაჟ წარმომადგენლებსაც და თუ ქართველები გამარჯვებას მოიპოვებენ, ისინი საგრძნობლად გაიუმჯობესებენ სატურნირო მდგომარეობას.

ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: სომხეთის საკმაოდ ძლიერმა გუნდმა - 2,5:1,5 დაამარცხა უკრაინა. ისრაელის ნაკრებმა ასეთივე ანგარიშით - 2,5:1,5 მოუგო ჩინეთის ქალთა გუნდს, ხოლო ჩინეთის ვაჟთა და კუბის ნაკრების შეხვედრა ჩინელთა გამარჯვებით - 3,5:0,5 დასრულდა.

ამრიგად გათამაშებას 8 ქულით რუსეთის ნაკრები ლიდერობს. 7,5-7,5 ქულა აქვთ ჩინეთის ვაჟთა და სომხეთის ნაკრებ გუნდებს. ისრაელმა 6 ქულა მოაგროვა. 4,5 ქულით მეხუთე ადგილზეა კუბა, ხოლო 4-4 ქულა აშშ-ის, უკრაინისა და საქართველოს ნაკრებებს აქვთ. ტურნირის უპირობო აუტსაიდერი კი ჩინეთის ქალთა გუნდია, რომლის ანგარიშზეც - 2,5 ქულაა.

მოკლედ

### ითამაშებენ შოლი და ბალაკი?

მიუნხენის "ბაიერნის" ნახევარმცველებმა მიხაელ ბალაკმა და მეჰმედ შოლმა შეიძლება გამოტოვონ ბუნდესლიგის ჩემპიონატის დღევანდელი ტურის მატჩი ბრემენის "ვერდერის" წინააღმდეგ. ბალაკმა ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში ტურინის "იუვენტუსთან" ბარძაყის ტრავმა მიიღო (1:2), ხოლო შოლს მუცლის ღრუს პრობლემები აწუხებს. ორივე ფეხბურთელმა ხუთშაბათის ვარჯიში გამოტოვა.

### "სელტიკმა" ბიტი დაკარგა

გლაზგოს "სელტიკის" ფორვარდი კრეიგ ბიტი თვენახევრით დაემშვიდობა ფეხბურთს. ფორვარდმა შოტლანდიის ჩემპიონატის მატჩში "დანდი იუნაიტედის" წინააღმდეგ (4:2) ჯვარედინი იოგები გაიწყვიტა. ბიტი, რომელმაც შოტლანდიის ჩემპიონატის ლიდერის შემადგენლობაში უკვე 7 გოლი გაიტანა, იძულებული იქნება გამოტოვოს თავისი კლუბის მატჩები ეროვნულ ჩემპიონატსა და ლიგის თასზე. ამას გარდა, ბიტი ვერ დაეხმარება შოტლანდიის ეროვნულ ნაკრებს აშშ-სთან 12 ნოემბერს ამხანაგურ შეხვედრაში.

### მანუელ პაბლო ერთი თვით დაისვენებს

ლა კორუნიას "დეპორტივოს" მარჯვენა მცველმა მანუელ პაბლო გარსიამ მარჯვენა მუხლის ჯვარედინი იოგები გაიწყვიტა და ერთი თვით იმკურნალებს. ვარაუდობენ, რომ 29 წლის ფეხბურთელი გამოტოვებს ესპანეთის ჩემპიონატის მატჩებს "რასინგთან", "ვილიარეალთან" და "სევილიასთან".

### გერმანელები შვეიცარიასა და სარდინიაზე მოემზადებიან

გერმანიის ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატისთვის კუნძულ სარდინიაზე და შვეიცარიაში მოემზადება. გუნდი 16 მაისს შეიკრიბება და სარდინიაზე ხუთი დღით გაემგზავრება. შემდეგ გუნდი ჟენევაში გადაბარგდება, სადაც 21-დან 30 მაისამდე დარჩება. ამის შემდეგ გერმანიის ნაკრები სამშობლოში დაბრუნდება. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი 9 ივნისს დაიწყება.

### მუჰამედ ალის თავისუფლების მედლით დააჯილდოვებენ

ლეგენდარული მოკრივე მუჰამედ ალი სათავეში უდგას ხუთშაბათს გამოქვეყნებული იმ 14 ადამიანის სიას, რომლებსაც აშშ-ის ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო - თავისუფლების მედალი ხვდათ წილად. ეს ჯილდო 1963 წელს დაარსდა და გადაეცემა იმ ადამიანებს, ვინც აშშ-ის უსაფრთხოების საქმეში, მსოფლიოში მშვიდობის დამყარებაში და კულტურისა და სპორტის განვითარებაში გამოიჩინა თავი. დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიალი 9 ნოემბერს თეთრ სახლში გაიმართება. ლაურეატებს მედლებს პირადად აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში გადასცემს.

ფეხბურთი

# ფუტსალს ახალი პრეზიდენტი ჰყავს

მიხეილ აბაიშვილი



ფუტსალს კახა დევდარიანი გაუძღვება

საქართველოს ფუტსალის ასოციაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს - კახა დევდარიანი. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ფუტსალის ასოციაციის რიგგარეშე ყრილობამ, რომელმაც გუშინ არჩევანი სწორედ დევდარიანზე შეაჩერა. რიგგარეშე ყრილობის ჩატარების და, შესაბამისად, ახალი პრეზიდენტის არჩევის საკითხი მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც ძველი - გრიგოლ ცაავა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივნად დაინიშნა. ყრილობის დასრულების შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია, სადაც კახა დევდარიანი მედიის წინაშე თავისი გუნდით წარდგა.

"ჩემთვის დიდი პატივი და მოვლაეობაა ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტად არჩევა. სპორტის ამ სახეობის სამსახურს ცხოვრების 12 წელი დავუთმე. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი გუნდის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, მასმედიის, ქართველი ბიზნესმენების დახმარებით სპორტის ამ სახეობის განვითარებას და საერთაშორისო დონეზე ღირსეულად გამოსვლას შევძლებთ", - განაცხადა კახა დევდარიანმა, რომელსაც ქართული სპორტული საზოგადოება საკმაოდ კარგად იცნობს. დევდარიანი ათეულზე მეტი წელია, რაც სპორტკომპლექს "ქარიშხალას" დირექტორია და პირადად მისი დამსახურებაა, რომ ეს კომპლექსი, სხვა ანალოგიური სპორტული ბაზების დარად, ელიტარული არ გახდა და რიგით, სოციალურად დაუცველ ხალხს აქ მისვლა და სპორტის სხვადასხვა სახეობებში ვარჯიში შეუძლია. თუმცა, როგორც ირკვევა, ამის საშიშროება ჯერ კიდევ არსებობს.

"ამჟამად სპორტკომპლექსი ქარიშხალა" ქონების მართვის სააგენტოს ბალანსზეა. დოკუმენტური საფუძველი არ გამაჩნია, თუმცა, დადის ხმები, რომ გარკვეულ პირთა ჯგუფს მისი ხელში ჩაგდება აქვს გადაწყვეტილი. მხოლოდ ის მაღელვებს, რომ ასეთ შემთხვევაში სოციალურად დაუცველი ფენა ამ ერთადერთ სპორტულ ოაზისსაც დაკარგავს, სადაც ჯერ კიდევ შესაძლებელია ხელმოკლე ოჯახებისთვის მოზარდების, გნებავთ, უფროსების სპორტის სხვადასხვა სახეობაზე სიარული. სანამ შემეძლება, ამას არ დავუშვებ და ამ საქმეში ჩემი გუნდის, მედიის და საზოგადოების დახმარების იმედი მაქვს", - აღნიშნა ფუტსალის პრეზიდენტმა.

ყრილობაზე ასოციაციის გენერალურ მდივნად ბექა კვიციანი, პირველ ვიცე-პრეზიდენტად - დავით გრძელიშვილი, ხოლო მეორე ვიცე-პრეზიდენტად - ირაკლი ქავთარაძე აირჩიეს. დღეიდან სწორედ ეს გუნდი აგებს პასუხს საქართველოში ფუტსალის განვითარებაზე.

"ფუტსალი საქართველოში მინიფეხბურთის მემკვიდრეა. ერთ დროს საქართველოში მინიფეხბურთის ნამდვილი ბუმი იყო, რასაც ლოგიკური ახსნა აქვს. სპორტის ეს სახეობა ახლოს არის ქუჩის ფეხბურთთან. ეს სპორტი ქართველის ბუნებაში, ხასიათში ზის და თუ ხელშეწყობა, ფინანსური და მორალური მხარდაჭერა იქნება, მერწმუნეთ, სერიოზულ წარმატებებს მივაღწევთ საერთაშორისო არენაზე. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ 1998 წელს საქართველოს ფუტსალის ნაკრები ევროპაში რეიტინგით მე-9 პოზიციაზე იყო. მაშინ შესარჩევ ტურნირში თვით საფრანგეთის ნაკრებიც კი დავამარცხეთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს მოხდა 1998 წელს, ანუ მაშინ, როცა საფრანგეთი ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონი გახდა", - განაცხადა კახა დევდარიანმა.

სხვათა შორის, უეფა სერიოზულად ზრუნავს ფუტსალის განვითარებაზე და ამისთვის ფინანსურ რესურსებსაც არ იშურებს.

"ჩვენთვის ცნობილია, რომ ყოველწლიურად საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უეფასგან გრანტს იღებდა ფუტსალის დასაფინანსებლად. სამწუხაროდ, ეს თანხა ფუტსალამდე თითქმის ვერ აღწევდა. მოხარულნი ვართ, რომ ფეხბურთის ფედერაციის სათავეში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლით ვითარება რადიკალურად იცვლება. ნოდარ ახალკაცმა და გრიგოლ ცაავამ ამ და სხვა საკითხებში სრული თანადგომა აღგვითქვეს, რისთვისაც დიდ მადლობას ვიხდით. ასოციაციის გენერალური მდივანი რამდენიმე დღეში შვეიცარიაში, უეფას შტაბბინაში გაემგზავრება, სადაც ყველა ფინანსურ საკითხს ადგილზე გაარკვევს და უეფას ფუტსალის დეპარტამენტთანაც უშუალო კონტაქტს დაამყარებს", - თქვა კახა დევდარიანმა.

ფუტსალის ასოციაციის უახლოესი სპორტული გეგმები ეროვნულ ჩემპიონატს უკავშირდება, რომელიც სტარტს მეთორმეტედ აიღებს. ჩემპიონატის საზეიმო გახსნა 28 ნოემბერს არის დანიშნული. ჯერჯერობით მასში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა და ასოციაციას მიმართა 9 გუნდმა. ჩემპიონატის რეგულარული ნაწილი 4 წრედ ჩატარდება, რომლის დასრულების შემდეგ პირველი ოთხი გუნდი პლეიოფის სისტემით გააგრძელებს ბრძოლას ჩემპიონობისთვის.

რაც შეეხება ფუტსალის ნაკრებს, მას ლევან გრიგოლია და ანდრო მიზანდარი უხელმძღვანელებენ. ეს გუნდი მონაწილეობას მიიღებს ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატების საკვალიფიკაციო ტურნირებში, რომელთა ჩატარების თარიღები და ჩვენი გუნდის მეტოქეები იანვარში გაირკვევა.

# სუპერკლასიკოს მოლოდინში



რობინიო იმედოვნებს, რომ რონალდო დროზე გამოჯანმრთელდება.

მადრიდის "რეალის" ბრაზილიელი ფორვარდი რობინიო უკვე სუპერკლასიკოს მოლოდინით ცხოვრობს. "დარწმუნებული ვარ, რომ ამ მატჩში თქვენ იხილავთ გუნდს, რომელიც სეზონის ბოლოს ესპანეთის ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს".

**- უკვე ორი თვეა, რაც რობინიო მადრიდში იმყოფება?**

- ჩემთვის პროგრესი აშკარაა. უფრო მეტს ვთამაშობ, თვითდაჯერებული გახლავართ, მაქვს მწვრთნელის ნდობა და ფიზიკურ კონდიციებსაც ყოველდღიურად ვიუმჯობესებ. დარწმუნებული ვარ, რომ თამაშის ხარისხის გაუმჯობესება საშუალებას მომცემს, ჩემი გუნდისთვის უფრო მეტი გავაკეთო.

**- "რეალმა" ვადამდე გაინაღდა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საგზური და ახლა გუნდი პრიმერადივიზიონზე გადაერთვება?**

- ძალიან კარგია, რომ პლეიოფის საგზური გავინაღდეთ. ახლა ჩვენ საშუალება გვაქვს, მშვიდად მოვახდინოთ ლა ლიგაზე კონცენტრაცია და გავიმარჯვოთ. ჩვენ გვსურს წარმატებული სერია განვარგძოთ და ქულები მოვიპოვოთ, მაგრამ ამის გაკეთება ტრავმირებული ფეხბურთელების გამო რთული იქნება. თუმცა ასეთ პირობებშიც კი ახერხებს გუნდი გაიმარჯვოს და ქულები მოიპოვოს.

**- ბრაზილიური და ევროპული კლუბების მცველები ერთმანეთისგან ბევრად განსხვავდებიან?**

- რა თქმა უნდა, განსხვავება არსებობს, მაგრამ ეს არც ისე თვალშისაცემია, როგორც მეგონა. მე ბრაზილიაში ძლიერ და შეუპოვარ მცველებს შევეჩვიე. ძლიერი მცველები აქაც ბევრია და ჩემი ქვეყნის მცველთაგან დიდად არ განსხვავდებიან.

**- მართალი იყო ის ხალხი, ვინც ამტკიცებდა, რომ შენ წონის მომატება გჭირდებოდა?**

- მე საკუთარ თამაშს ვაუმჯობესებ. მწვრთნელებს სურთ, რომ ძალისმიერი ვარჯიშებით მასა შემემატებინა, მაგრამ ასეც არც ისე ცუდად ვთამაშობ. დროთა განმავლობაში ჩემი თამაში კიდევ უფრო დაიხვეწება. თუმცა, თუ მწვრთნელები დარწმუნებულნი არიან, რომ ამისთვის მე მასის მომატება დამჭირდება - დავეთანხმები.

**- და სამი კვირის შემდეგ შენს პირველ მატჩს ჩაატარებ - "რეალი"-"ბარსელონა"...**

- ის მატჩი, რა თქმა უნდა, უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება, მაგრამ სამი ქულა ბრაზილიაშიც სამი ქულაა და ესპანეთის პრიმერადივიზიონის დანარჩენ მატჩებშიც. მე მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობ, რადგან ვიცით, რომ "ბარსელონა" ძალიან ძლიერი გუნდია და თავის რიგებში არაერთი კარგი ფეხბურთელი ჰყავს... ისევე, როგორც მადრიდის "რეალს". თუმცა კლასიკომდე ჯერ "სარაგოსას" ვხვდებით, რომელიც აგრეთვე აუცილებლად უნდა დავამარცხოთ.

**- გჯერა, რომ რონალდო მოასწრებს კლასიკომდე, 19 ნოემბრამდე დაბრუნებას?**

- მე რონალდო არ ვარ, მაგრამ ყველას კარგად მოგვეხსენება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია რონალდო გუნდისთვის. ისევე, როგორც ჟულიო, ელგერა, მიჩელი, ზიზუ... მათ გარეშე თამაში უაღრესად რთული იქნება, რადგან ისინი კლუბისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელები არიან და ამას გარდა ისინი ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები არიან.

# ვან ბომელი გულშემატკივარს ემადლიერება

"ბარსელონას" ჰოლანდიელმა ლეგიონერმა მარკო ვან ბომელმა, რომლის მატჩის 45-ე წამზე გატანილმა გოლმა დასაბამი დაუდო კატალონიაში ჩასული "პანათინაიკოსის" განადგურებას - 5:0, მადლობა გადაუხადა "ნოუ-კამპზე" შეკრებილ გულშემატკივრებს მხარდაჭერისთვის. "ჩვენ იდეალური არა, მაგრამ ძალიან კარგი გუნდი ვართ. ხოლო, როცა ფეხბურთელები და გულშემატკივარი ერთი მიმართულებით მიდის, რაღაც განსაკუთრებული გამოდის. მინდორზე ნამდვილი ზეიმი იყო - განაცხადა ფეხბურთელმა და დაამატა, რომ 45 წამი - არ არის შედეგიანობის რეკორდი მის კარიერაში. ყველაზე სწრაფი გოლი ჩემს კარიერაში როტერდამის "სპარტას" მე-17 წამზე გავუტანე".




# ფედერერი მასტერსზე ითამაშებს

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა შვეიცარიელმა როჟე ფედერერმა დაადასტურა, რომ მასტერსის ტურნირისთვის აღდგენას მოასწრებს. "ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ტრავმას დროულად მოვიშუშებდი, თუმცა ახლა ვარჯიში უკვე დავიწყე" - განაცხადა ფედერერმა. შეგახსენებთ, რომ შვეიცარიელმა ამ ტურნირზე შარშან უკვე გაიმარჯვა და ფინალში დაამარცხა ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი. ბოლოს შვეიცარიელმა ATP-ის ტურნირზე სამი კვირის წინათ ითამაშა.

# ჩვენი დროის სინამდვილე და "ვეფხისტყაოსნის" საიდუმლო

რუსთაველის თეატრი პრემიერებით იხსნება



*რუსთაველის თეატრის რესტავრირებული ჰოლი.*

პირველი გვერდიდან

28 ოქტომბერს შოთა რუსთაველის თეატრი 126-ე თეატრალურ სეზონის გახსნას "კავკასიური ცარცის წრით" გეგმავდა. თუმცა, რამაზ ჩხიკვაძის ჯანმრთელობის გაუარესების გამო ეს გეგმა განუხორციელებელი რჩება. მას შემდეგ არაერთ სპექტაკლზე შეჩერდა თეატრის ხელმძღვანელობის ყურადღება. მაინც რომლით შეგებებოდნენ მაყურებელს - "ჰამლეტით" თუ "კაცია ადამიანით?!" საბოლოოდ ამ უკანასკნელზე შეჩერდნენ. პაემანი კი 11 ნოემბრისთვის დაგვითქვეს. პირველი სპექტაკლი, ალბათ, არ იქნება იმდენად საინტერესო, რამდენადაც მომდევნო წარმოდგენები. რუსთაველის თეატრი სამწლიანი პაუზის შემდეგ მაყურებელს ახალი სპექტაკლებითა და გადასხვაფერებული ინტერიერით ეგებება. იმის გარდა, რომ ორი ძველი დარბაზი - დიდი და მცირე, აღადგინეს და განაახლეს, თეატრის შენობას კიდევ ერთი ახალი კონსტრუქცია დაუმატეს. სწორედ ამ ახალ ნაგებობაში განთავსდა მესამე, ყველაზე პატარა, ექსპერიმენტული დარბაზი. არქიტექტორებმა, რესტავრატორებმა და მხატვრებმა ენერგია არ დაიშურეს, რათა ყველა დარბაზისა და ფოიესთვის ძველი იერსახე დაებრუნებინათ. რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობა თავიდან "მცირე დარბაზში" შეგვეგება, სწორედ იმ დარბაზში, რომელშიც ჩუქურთმით დაწყებული და სცენის კონფიგურაციით დამთავრებული, ყველაფერი ყურადღებას იპყრობს. ქიმერიონშიც ყველაფერი ძველებურადაა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ იქ ლიტერატურული საღამოებისა და რესტორნის მოწყობას აღარავინ ფიქრობს. იქაურობა უაზროდ ცარიელი მომეჩვენა, თუმცა, თეატრის მაყურებელი მას მოსვენებას, ალბათ, არ მისცემს.

ამბობენ, რომ ყველაფერი ისეა, როგორც უწინ. ერთია მხოლოდ - ვეჭვობ, ადრე თეატრის კანონები ასეთი მკაცრი ყოფილიყო. "საგანგებოდ აღნიშნეთ, რომ ყველამ დაიმახსოვროს: დაგვიანებული მაყურებელი დარბაზში შემდეგ მოქმედებამდე ვერ მოხვდება", - გვითხრა თეატრის დირექტორმა. მათთვის, ვინც დროულად ვერ მივა სპექტაკლზე, ფოიეში დიდი ეკრანი იქნება დამონტაჟებული. თუმცა, არ იფიქროთ, რომ ეკრანის ცქერისას, ან თუნდაც შესვენებისას, სიგარეტით გაიხალისებთ თავს. თეატრში არ არის ერთი ადგილიც კი მათთვის, ვინც აზრთა გაცვლა-გამოცვლას თამბაქოს კვამლში ამჯობინებს.

თეატრში საკმაოდ ხანგრძლივი მოგზაურობის ბოლოს ჩემი გიდები მონატრებულ დარბაზში შემიძღვნენ. იქ უკვე თავად ბატონი რობერტი გველოდა.

**"განახლება დიდი ბედნიერებაა, მით უფრო მაშინ, როცა ასეთი გასაჭირია, მაგრამ ყოველთვის პრეტენზიები გვიჩნდება: რა გააფუჭეს, რა გააკეთეს, - ეს ძალიან ბუნებრივი პროცესია. მთავარი ის არის, რომ უნდა შევეგუოთ ამ ახალ შენობას. ბევრი რამეა ისეთი, რაც ადრე არ იყო, მაგალითად განათება. ყველაზე მთავარი შეგრძნება მაინც ბედნიერებაა. ეს ისეა, თითქოს მშობლიურ, ბავშვობის დროინდელ საწოლში ბრუნდები."**

მაყურებელს მრავალი სიახლე ელის, თუმცა, მათგან ყველაზე საინტერესო მაინც რამდენიმე ახალი სპექტაკლი იქნება. "კავკასიური ცარცის წრის" შემდეგ რობერტ სტურუა გია ყანჩელის მუსიკის მიხედვით და გოგი ალექსიძის ქორეოგრაფიით შექმნილი არავერბალური სპექტაკლის "სტიქსის" ჩვენებას გეგმავს. ამ სპექტაკლებს ორი პრემიერა მოჰყვება.

პირველი ლაშა ბუღაძის პიესებზე სტურუას მიერ დადგმული "პ 25 პ" იქნება. ბუღაძის ხუთწუთიან პიესებზე მუშაობა რეჟისორმა საკმაო ხანია დაიწყო, თუმცა, ფრაგმენტულად. გასტროლებიდან გასტროლებამდე, სხვადასხვა სივრცეში და სხვადასხვაგვარი განწყობით. თავდაპირველად ამ სპექტაკლზე რობერტ სტურუასთან ერთად ორი ახალგაზრდა რეჟისორი სანდრო ბრეგაძე და ნიკა მშველიძეც მუშაობდნენ. თუმცა, როგორი იქნება სადადგმო ჯგუფის საბოლოო ვარიანტი, ჯერ ზუსტად არ არის ცნობილი. ლაშა ბუღაძის 25 პატარა პიესიდან წარმოდგენაში თურმე ყველა ვერ მოხვდა, მაგრამ სპექტაკლს თავდაპირველი სახელწოდება მაინც შერჩა. **"ეს სპექტაკლი ეხება შეცვლილ საქართველოს, შეცვლილ ურთიერთობებს, იმას, თუ რა მოხდა ადამიანებში და არა სოციალურ თუ პოლიტიკურ სფეროში, რანი ვართ დღეს, რა მოგვცა ამ დამოუკიდებლობამ, მოკლედ, ყველა იმ პრობლემას, რომელიც გვაღელვებს. ბოლო ათი წლის მანძილზე ჩვენ პირდაპირ არ ვეხებოდით ჩვენს სინამდვილეს. ახლა პირველად მივადექით თემას, რომელიც პირდაპირ ეხება ჩვენს დღევანდელობას და საკმაოდ მძაფრადაც. ჩვენი თეატრი ყოველთვის ცდილობდა ეთქვა სიმართლე მაყურებლისთვის, არ გაურბოდა ამ პრობლემებს. თუნდაც 1937 წელს, როცა ყველას იჭერდნენ, ქართული თეატრის დამაარსებელმა, მე ასე მეჩვენება, რეჟისორმა ახმეტელმა დადგა "ყაჩაღები", სპექტაკლი ტირანების წინააღმდეგ. ამიტომაც ჩვენ ტრადიციებს არ ვუღალატებთ. ხალხი თუ პატივს გვცემს, ეს იმიტომ, რომ ჩვენ მათ არ ვუმალავთ იმ პრობლემებს, რომელიც ყველას აღელვებს."**

შემდეგი საპრემიერო სპექტაკლი, რომელსაც რუსთაველის თეატრი 2005 წელს გვიჩვენებს, "ვეფხისტყაოსანი" იქნება, სპექტაკლი რომლის განხორციელებამდე უკვე ბევრი რამ ითქვა. მრავალთა აზრით, ეს ის თემაა, რომელსაც აჯობებს არავინ შეეხოს, მით უფრო, თავისუფალი ინტერპრეტაციით. თუმცა, როგორც წესი, საზოგადოებრივი აზრი ხელოვანთ გადაწყვეტილებას იშვიათად აცვლევინებს. ამის წყალობით, ალბათ, ახლად გახსნილი თეატრის რეპერტუარი თავიდანვე მკვეთრ შთაბეჭდილებას მოახდენს თბილისზე, თუმცა, "ვეფხისტყაოსანი" და არანაკლებ პრეტენზიული სპექტაკლი "პ 25 პ" თეატრის რეპერტუარით დაინტერესებას გამოიწვევს. საზოგადოების ამგვარი დაინტრიგება ისედაც მონატრებულ თეატრს მომავალი სეზონისთვის ნამდვილად გამოადგება: **"ვეფხისტყაოსანზე" ახლა ვერაფერს გეტყვით, მინდა ცოცხალი დავრჩე. მე მესმის ასეთი აჟიოტაჟი, ჰგონიათ, რომ მე შეურაცხყოფას მივაყენებ მის ისტორიას, გენიოსს, რომლის სახელიც, მე მგონია, რომ ისედაც ძალიან შეურაცხყოფილია. არსად არ არის ნახსენები, არავინ იცის ვინ არის, სად არის დაკრძალული. მაინტერესებს, ასეთი გენიალური პოეტი რატომ გვყავს ამ მდგომარეობაში? ეს არის დასაწყისი იმ დამოკიდებულებისა ხელოვანების მიმართ, რომელიც დამთავრდა ილიას მკვლელობით. ჩვენ საშინლად ვექცევით იმ ადამიანებს, რომლებიც ქმნიან ქართულ სულიერებას. ეს არ არის ჩემი სპექტაკლის მთავარი თემა, თუმცა, ამაზეც იქნება მასში საუბარი."**

**P.S.** თეატრის რეპერტუარში დარჩება ძველი სპექტაკლებიც. მათ შორის "დარისპანის გასაჭირი", "ჰამლეტი", "მეთორმეტე ღამე", "გოდოს მოლოდინში", "კაცია-ადამიანი?!" და "მერე რა, რომ სველია სველი იასამანი".

# თბილისი-ოსკარი

სტუდია ABK-ში ზაზა კოლელიშვილმა ბუშის სადილი გადაიღო



*მამუკა ჩიხრაძე*

ია ვეკუა

სულ მცირე, დეკემბერში მაინც გავიგებთ, მოხვდება თუ არა კიდევ ერთი ქართული ფილმი მომავალი წლის "ოსკარის" მაძიებელთა სიაში. წელს ამ ჯილდოს მიღების პრეტენზიას ლევან ზაქარეიშვილის ფილმი "თბილისი-თბილისი" აცხადებს. ფილმი პირველადი შერჩევის შემდეგ 500-დან 58 საუკეთესოთა შორის მოხვდა, რაც, თავისთავად, უკვე მიღწევაა, მაგრამ ფილმის ავტორები მას შემდეგ უფრო კომფორტულად იგრძნობენ თავს, როდესაც "თბილისი-თბილისი" ნომინანტთა შორის აღმოჩნდება.

ამ ფილმს ლევან ზაქარეიშვილი თითქმის რვა წლის განმავლობაში იღებდა. ამ ხნის განმავლობაში მთავარი გმირების შემსრულებლებიც და გადასაღები გარემოც საგრძნობლად შეიცვალა, თუმცა "თბილისი-თბილისი" მაინც დასრულდა. ფილმის სრულყოფაში კი მნიშვნელოვანი როლი სტუდია ABK-მ და მისმა ხელმძღვანელმა, მამუკა ჩიხრაძემ შეასრულეს. საბოლოოდ, ეს უკანასკნელი ფილმის აღმასრულებელ პროდიუსერადაც იქცა, ამიტომ "თბილსი-თბილისის" საოსკარო პერიპეტიების შესახებ, სწორედ, ის გვესაუბრება.

**- "თბილისი-თბილისი" პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია, რომელზეც თქვენმა სტუდიამ იმუშავა...**

- სასიხარულოა, რომ პირველივე ასე წარმატებული აღმოჩნდა. არ ვგულისხმობ მხოლოდ იმას, რომ ფილმი, შესაძლოა, "ოსკარის" ნომინანტი გახდეს, არამედ იმასაც, რომ მან მაყურებლისა და კრიტიკის დიდი მოწონება დაიმსახურა. ფილმს უკვე მიღებული აქვს შვიდი საერთაშორისო პრიზი, ახლა კი ყველაზე დიდი ნახტომისთვის ემზადება.

**- რა აუცილებელი პროცედურებია საჭირო იმისთვის, რომ ფილმი ფესტივალზე მოხვდეს?**

- ფესტივალის ორგანიზატორებთან უნდა გაიგზავნოს ფილმის სინოფსისი და კადრები. ამჯერად, სწორედ, ასე მოვიქეცით, ამერიკაში "თბილისი-თბილისის" საუკეთესო კადრები გავაგზავნეთ და 500 ფილმში მოხვდა. ჟიურის მიერ პირველადი გადარჩევის შემდეგ ფილმი საუკეთესო 58 ნამუშევარს შორისაა. ჩვენ ეს უკვე გარკვეულ წარმატებად მიგვაჩნია, რადგან ამ ფილმზე უამრავი ადამიანი, განსაკუთრებით, თავად ლევან ზაქარეიშვილი, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ. ამით ჩვენი შრომა, გარკვეულწილად, მაინც დაფასდა.

**- კონკრეტულად, რა როლი შეასრულა სტუდია ABK-მ?**

- ჩვენს სტუდიაში გავამჟღავნეთ ფირი, შემდეგ გავაკეთეთ შავი მონტაჟი, ვიდეომონტაჟი, ხოლო ფილმმა დასრულებული სახე პრაღაში მიიღო. აღმოჩნდა, რომ ფილმის გადაღებაზე უფრო მნიშვნელოვანი მისი დასრულებაა - აწყობა, პრომოუშენი და გაყიდვა. ამ საქმიანობაში მეც ჩავერთე და მის ფესტივალებზე გაგზავნის საკითხში გარკვეულ როლს ვთამაშობ.

**- რამდენად შეესაბამება ფილმის ტექნიკური მხარე მსოფლიოში არსებულ სტანდარტებს? შეიძლება, რომ ამის გამო "თბილისი-თბილსი" რომელიმე ფესტივალმა დაიწუნოს და არ მიიღოს?**

- ვინაიდან გადაღების ტექნიკა ნაკლებად შეიცვალა და ძირითადი პრინციპები იგივე დარჩა, ამ მხრივ პრობლემა არ შექმნილა. რაც შეეხება კონკრეტულად ამ ფილმს, მისი ტექნიკური მონაცემები ჩვენთან არსებული დონის პროპორციულია. ამერიკასა და ევროპაში იციან, რა პირობებში გვიწევს მუშაობა, ამიტომ ჩვენგან ზედმეტს არ ითხოვენ. იქ კარგად იციან, რომ ფირის სიძვირის გამო მხოლოდ 2-3 დუბლის გადაღება შეგვიძლია, რუსეთში ეს რიცხვი 7-8 დუბლამდეა, ხოლო ამერიკაში იმდენ დუბლს იღებენ, რამდენიც სურთ. გარდა ამისა, ფესტივალებზე ძირითადი მნიშვნელობა ფილმის სიუჟეტს და რეჟისორის ნამუშევარს ექცევა.

**- ლევან ზაქარეიშვილი რეჟისორობის გარდა ამ ფილმის პროდიუსერიცაა. ამჟამად თუ იმყოფება რომელიმე ფესტივალზე?**

- იგი 3 ნოემბერს ლოს ანჯელესის კინოფესტივალზე მიემგზავრება, რომელიც უფრო კინოს ბაზარია. ვფიქრობ, ამ ფილმით იქ ბევრი დაინტერესდება.

**- სტუდია ABK-ს კარგი გამოცდილება აქვს მუსიკალური კლიპებისა და სარეკლამო რგოლების გადაღების სფეროში. თუმცა აქ დოკუმენტურ კინოსაც იღებთ...**

- ამ მხრივ მხატვრულ კინოზე უკეთეს წარმატებებს მივაღწიეთ. შარშან ნიუ იორკის საერთაშორისო ფესტივალზე ჩვენს სტუდიაში გადაღებულმა მანანა კულუმბეკაშვილის "სკალდობამ" პირველი პრიზი აიღო. ეს დოკუმენტური ფილმი სვანეთის ერთ-ერთი რელიგიური დღესასწაულის რიტუალზეა. მართალია, პირველი პრიზი გვერგო, იგი გზაში დაიკარგა, ამიტომ კედელზე მხოლოდ მისი ფოტო გვიკიდია.

ამავე ფესტივალზე წელსაც უნდა წავსულიყავით, მაგრამ ფილმის დასრულება ვერ მოვახერხეთ. ეს არის ზაზა კოლელიშვილის დოკუმენტური ფილმი "სადილი ჯორჯ ბუშთან". ფილმში არ არის შესული დოკუმენტური კადრები, როგორ სადილობენ რესტორან "მეიდანში" ბუშებისა და სააკაშვილების წყვილები იმ მიზეზით, რომ ასეთი კადრები არ არსებობს. ამიტომ ზაზა კოლელიშვილმა რესტორნის მომსახურე პერსონალის მონაყოლითა და იმ დღის მენიუს მიხედვით ძალიან საინტერესო სტრუქტურის მქონე ფილმი გადაიღო. ნიუ იორკის ფესტივალის ორგანიზატორები იმდენად დაინტერესდნენ ფილმის სინოფსისით, რომ ვადა ერთი კვირით გაგვიგრძელეს, მაგრამ მისი მონტაჟი და გახმოვანება მაინც ვერ მოვასწარით.




# AIUTARE იტალიურად

### ქართველების "აიდას" იტალიელი დანიელე აჯიმანი უდირიჟორებს

ია ვეკუა

მორიგი პრესკონფერენცია ოპერის და ბალეტის დირექტორმა საკმაოდ უცნაური შესავლით გახსნა. მცირე ისტორიული ექსკურსი დავით საყვარელიძემ 1851 წლიდან დაიწყო და თბილისის ოპერის პირველი წარმოდგენაც გაიხსენა. იქვე ისიც აღნიშნა, რომ ოპერის გახსნით ჩვენს დედაქალაქში ცივილიზაცია შემოვიდა და რომ პირველ სპექტაკლთან დაკავშირებით ოპერის მიმდებარე ტერიტორიაზე ქუჩა ქვაფენილით მოიკირწყლა. მართალია, საყვარელიძემ ეს შესავალი უცხოელი სტუმრების გასაგონად უფრო თქვა, მეორე მხრივ, კენჭები უფრო იქვე მდებარე მერიის ბოსტანში გადაყარა, რომელსაც ჯიუტად არ უნდა რუსთაველის გამზირის საკვირაო გადაკეტვების აშკარად წარუმატებელი ტრადიციის მოშლა. ამ ინიციატივით დაზარალებულთა შორის ოპერის თეატრი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია, რადგან გადაკეტილ ქუჩაზე მოსეირნე მოქალაქეები მის ისტორიულ სკვერს ხან საპირფარეშოდ იყენებენ, ხანაც მის კედლებზე საყვარელი უცხოელი შემსრულებლების სახელების წერაში ვარჯიშობენ.

მალე საყვარელიძე პრესკონფერენციის მთავარ თემაზე გადავიდა და კლასიკური მუსიკის თაყვანისმცემლებს ოპერის თეატრის მორიგი უცხოელი სტუმარი წარუდგინა. 8 ნოემბერს ჯუზეპე ვერდის "აიდას" მორიგ წარმოდგენას იტალიელი დირიჟორი დანიელე აჯიმანი უხელმძღვანელებს. მისი თბილისში ჩამოყვანა ოპერის თეატრის ხელმძღვანელობისა და საქართველოში იტალიის რესპუბლიკის საელჩოს ინიციატივით მოხერხდა. იტალიის საელჩო კულტურის სფეროში საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობს ქართულ მხარესთან და მომავალშიც აპირებს საოპერო პროექტების ხელშეწყობას.

**ფაბრიციო რომანო**, იტალიის ელჩი: "მიმაჩნია, რომ იტალიას ისტორიული როლი აკისრია, რათა საოპერო ხელოვნების გავრცელებას მთელ მსოფლიოში შეუწყოს ხელი. მოხარული ვარ, რომ თბილისში ასეთი დონის დირიჟორის ჩამოყვანა მოვახერხეთ და შეგვიძლია ამ სახით, ქართულ საოპერო დასს დავეხმაროთ. ამ თანამშრომლობის შედეგად ქართველ შემსრულებლებს საკუთარი შესაძლებლობების გამოცდის საშუალებაც მიეცემათ. გარდა ამისა, დანიელე აჯიმანი აქაურ მუსიკოსებს საერთაშორისო კონკურსებისკენაც გაუხსნის გზას."


ოპერის თეატრი გასულ საუკუნეში.

დანიელე აჯიმანის დოსიე საკმაოდ შთამბეჭდავია (თუმცა ამაში დარწმუნება მხოლოდ სპექტაკლის დროს შეგვეძლება): ამჟამად იგი ტაეგუს (კორეა) სახელმწიფო თეატრის იტალიური რეპერტუარის კონსულტანტია, რისი პატივიც ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე ვერდის "რიგოლეტოს" დირიჟორობის შემდეგ მოიპოვა. გარდა ამისა, იტალიის განათლების სამინისტროს მიერ გამართულ კონკურსში გამარჯვების შემდეგ მილანის ვერდის სახელობის კონსერვატორიაში სადირიჟორო კლასს უძღვება. იგი აგრეთვე შიზუოკას (იაპონია) სიმფონიური ორკესტრის მთავარი მიწვეული დირიჟორია. 1991 წლიდან მოყოლებული დანიელე აჯიმანიმ მსოფლიოს 70-მდე ორკესტრს უდირიჟორა, ხოლო ოთხი წლის განმავლობაში ლუგანოს (შვეიცარია) ოპერის თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი და მილანის ვერდის სახელობის კონსერვატორიის საოპერო სტუდიის ხელმძღვანელი იყო.

ამჯერად მის აქტივს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩატარებული კონცერტიც მიემატება. დანიელე აჯიმანი თბილისში ამ დღეებში ჩამოვიდა. იტალიაში სპექტაკლის დასრულებისთანავე გაემგზავრება, ამიტომ ვერ ასწრებს მასტერკლასების ჩატარებას, თუმცა მანამდე ნებისმიერ მსურველს გაუწევს კონსულტაციას. მან უკვე მოასწრო რამდენიმე რეპეტიციის ჩატარება და ჩვენი ორკესტრითა და საოპერო დასით აღფრთოვანებულია.

**დანიელე აჯიმანი:** "იტალიურ ხელოვნებაზე მსოფლიოში დიდი მოთხოვნილებაა. მიხარია, რომ აქაც ასეთი განწყობა დამხვდა. რაც მთავარია, ძალიან მომეწონა თბილისის ოპერის ორკესტრი და დასი. თქვენ უმაღლესი კლასის მუსიკოსები გყავთ და მათთან მუშაობა დიდი სიამოვნებაა. ჩემი აზრით, ნებისმიერი მუსიკალური ნაწარმოები შესრულების დონით ფასდება. ვფიქრობ, ამ მხრივ პრობლემა არ იქნება. აღფრთოვანებული ვარ სოლისტებით, რომლებიც იტალიურად შესანიშნავად მღერიან და, რაც მთავარია, მთელი გულით გრძნობენ, რასაც ასრულებენ."

დანიელე აჯიმანის დირიჟორობით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი მხოლოდ ერთხელ, 8 ნოემბერს დაუკრავს. სოლისტები იქნებიან მაყვალა ასპანიძე (აიდა), გიორგი ონიანი (რადამესი), ელენა პუტილოვა (ამნერისი), სულხან გველესიანი (ამონასრო), ომარ ხოფერის, ტარიელ ჭიჭინაძე, ნინო ჩაჩუა და თამაზ საგინაძე.

# ლაშა და ფილოსოფოსი

FM ცნობი 98.0

*პროგრამა ეთერშია ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა.*

**ლაშა ბუღაძე**: ეთერშია დიალოგები ლაშა ბუღაძესთან და არა პლატონთან, თუმცა, პლატონი ტყუილად არ მიხსენებია. ჩვენი სტუმარია ფილოსოფოსი ზურაბ ჭიაბერაშვილი. დღეს ჩვენ ვისაუბრებთ წიგნებზე და კონკრეტულად ერთ წიგნზე.

**ზურაბ ჭიაბერაშვილი**: ამ წიგნის პრეზენტაცია გაიმართება სამშაბათს ორ საათზე, სასტუმრო "მეტეხში" და ეს არის წიგნი, რომელიც დიდი ხანია, ელოდებოდა გამოსვლას. ამჯერად ის ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოს" დაფინანსებით "ლოგოს პრესმა" დასტამბა. მე გახლავართ ამ შესანიშნავი წიგნის მთარგმნელი. წიგნს ჰქვია დღევანდელი საქართველოსთვის ძალიან პროვოკაციული სათაური "როგორ ვამუშაოთ დემოკრატია" და ეხება კონკრეტულ ქვეყანას, იტალიას. ავტორი რობერტ პატმენი გვიხსნის, თუ როგორია ამ ქვეყნის სამოქალაქო ტრადიციები და დღევანდელი მდგომარეობა.

**ლაშა ბუღაძე**: საინტერესოა, ვინ არის წიგნის ადრესატი.

**ზურაბ ჭიაბერაშვილი**: ჩემი არჩევანი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ აქტუალური თემატიკაა ჩვენი ქვეყნისთვის. წიგნში ლაპარაკია იტალიის რეგიონული მმართველობის წარმატება-წარუმატებლობაზე და იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენთანაც ეს საკითხი მნიშვნელოვანია და ჯერ კიდევ არ არის ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა განსაზღვრული. ასე რომ, ვიფიქრე, წიგნი ექსპერტებს, პოლიტოლოგებს, პოლიტიკოსებს დაეხმარებოდა გარკვეული დასკვნების გაკეთებაში. საბედნიეროდ, წიგნმა მოუსწრო ამ საკითხის გადაჭრას და თუ ვინმე გადაიკითხავს, საინტერესო მასალას აღმოაჩენს.

**ლაშა ბუღაძე**: ცხადია, მთლიანად წიგნს ვერ მოვიცავთ, მაგრამ მოკლედ ჩამოვთვალოთ თემები.

**ზურაბ ჭიაბერაშვილი**: იტალიაში 1970 წლამდე არსებობდა ორი დონე - ცენტრალური ხელისუფლება და ადგილობრივი თვითმმართველობების დონე. ეს იყო ძალიან ცენტრალური სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატი და ქვეყნის მართვა რთული იყო. იმისთვის, რომ მმართველობა გამხდარიყო უფრო დახვეწილი, იტალიის პარლამენტმა დაუშვა რეგიონული მმართველობა. იტალიაში გამოიყო 20 ისტორიული რეგიონი და იქ გახდა შესაძლებელი, არჩეულიყო რეგიონული საბჭო და მას მერე დაეკომპლექტებინა რეგიონული მთავრობა, როგორც აღმასრულებელი სტრუქტურა. წიგნის ძირითადი ნაწილი ეხება სწორედ იმის კვლევას (ავტორი რობერტ პატმენი ამ კვლევას 20-30 წლის განმავლობაში აწარმოებდა), თუ ამ ოციდან რომელმა გაართვა თავი მოვალეობებს და რომელმა - არა. კვლევის ინდიკატორებში შედიოდა მაგალითად, ასეთი რამ: რომელი რეგიონული საბჭო წლის რომელ ნაწილში ამტკიცებდა ბიუჯეტს. ინდიკატორებში შედიოდა ისეთი ფაქტორებიც, როგორიც იყო მაგალითად, რამდენად პასუხობდა რეგიონული მთავრობის რომელიმე წევრი მოქალაქეთა წერილებს. კვლევაში ასეთი ხერხიც კი გამოიყენეს: ხელოვნურად მთავრობას მისწერეს გამოგონილი წერილი გამოგონილ მთავრობაზე და დაელოდნენ პასუხს. იყო მთავრობა, რომელიც პასუხს აბრუნებდა ერთ კვირაში, თანაც ტელეფონით შეწუხების გარეშე და იყო მთავრობა, რომელიც რამდენიმე თვე დუმდა, ტელეფონით შეწუხების მიუხედავად.

აღარაფერს ვამბობ ისეთ ინდიკატორებზე, როგორებიც იყო სასოფლო სამეურნო პროექტების დაკრედიტება რეგიონული მთავრობებიდან, საბავშვო ბაღების გახსნა და ა.შ.

იტალიის სამხრეთის რეგიონებიდან - ჩვენ აქ სიცილია ვიცით, მაგრამ იტალიას კიდევ უფრო ჩავარდნილი რეგიონებიც აქვს, მაგალითად, კალაბრიაც პრობლემური რაიონია. ამიტომ აღმოჩნდა, რომ სამხრეთის რეგიონები ერთ მხარეს დალაგდნენ, ჩრდილოეთის - მეორეს და დაისვა კითხვა: რისი ბრალია ეს. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. ანუ იმის მიხედვით თუ რამდენი უდევს ჯიბეში, შეიძლება საზოგადოების შეფასება. ამის მიხედვით, მარტივი ახსნა შეიძლება იყოს: რომ იმ მომენტშივე, 1970 წელს იტალიის ჩრდილოეთი რეგიონები მდიდრები იყვნენ, სამხრეთის - ღარიბები და ეს სიღარიბე იყო განმაპირობებელი ფაქტორი არაეფექტურობის. მაგრამ რობერტ პატმენის დამსახურება იმაშია, რომ ის არ დასჯერდა, მხოლოდ სოციო-ეკონომიკური ფაქტორებით ამ მოვლენის ახსნას და დამატებითი მიზეზების ძებნა დაიწყო ისტორიაში. ამ კვლევამ ის ჩაიყვანა შუა საუკუნეებამდე, და გაირკვა, რომ ისტორიული გამოცდილებაც მათ სხვადასხვაგვარი ჰქონდათ. ჩრდილოეთ იტალიაში მე-11 საუკუნიდან იყო ქალაქ-სახელმწიფოების, ანუ რესპუბლიკური მმართველობის გამოცდილება. რა თქმა უნდა, არ გვაქვს ლაპარაკი სრულფასოვან ლიბერაულ მმართველობაზე, მაგრამ ეს გაცილებით დემოკრატიულია, ვიდრე ის, სადაც გაქვს უნიტარული, სამხედრო წესრიგზე დამყარებული სახელმწიფო, როგორიც იყო ნორმანების სახელმწიფო სამხრეთ იტალიაში. იქ ნორმანების სამეფო წარმატებული იქნებოდა თუ წარუმატებელი, იყო მეფეზე დამოკიდებული, ჩრდილოეთ იტალიაში კი აღმასვლას და დაღმასვლას ექვემდებარებოდნენ არა რომლიმე კონკრეტული პიროვნების, არამედ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

აღმოჩნდა, რომ სამოქალაქოობის ტრადიცია ჩრდილოეთში არსებობდა, სამხრეთში კი არა. ამიტომ ჩრდილოეთ იტალიაში თვითონ მოქალაქეებს შორის უფრო ჰორიზონტალური ურთიერთობები იყო, ხოლო სამხრეთში პატრონ-ყმური დამოკიდებულება და ეს საუკუნეების განმავლობაში შემორჩა იტალიას. ამიტომ რეგიონული მმართველობის არაეფექტურობა სამხრეთში მარტო იმან არ განაპირობა, რომ იქ რეგიონულ საბჭოში არჩეული ადამიანი თვითონაც სამხრეთელი იყო, არამედ განაპირობა იმანაც, რომ მისი ელექტორატი იყო ნაკლებ სამოქალაქო, ვიდრე ჩრდილოეთში.

**ლაშა ბუღაძე**: ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ მიზეზები კულტურაშია.

**ზურაბ ჭიაბერაშვილი**: დიახ, და ამ წიგნის მიხედვით ირკვევა ისიც, რომ პატრულის ქმედებებსაც კი ხშირად მოქალაქეები განაპირობებენ. განწყობა, რასაც ისინი საზოგადოებიდან იღებენ, როგორ გარემოში ტრიალებენ, ეს ყველაფერი მას სხვადასხვანაირი მუშაობისთვის განაწყობს. თუ ყოველდღე უჩიჩინებენ, - რომ ბიჭო, ფულს როგორ არ აკეთებ - შეიძლება, ერთ დღეს გატყდეს. მაგრამ თუ მის გარემოში სწორედ მისი პატიოსნებით ამაყობენ, მას მეტი სტიმული მიეცემა კეთილსინდისიერად მუშაობისთვის.


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი - მძიმეწონიანი სატრანსპორტო საშუალებების ასაწონი ელექტრო-ღერძული სასწორები. მიწოდება უნდა განხორციელდეს 2005 წლის წლის ბოლომდე.

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ტელ: 22-69-07.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთა:**

■ მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან);

■ მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

■ მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

■ სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

**ფიზიკურ პირთა:**

■ უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

■ მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

■ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკიურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

■ სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

**დამატებითი მოთხოვნები:**

■ ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);

■ ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

■ ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ **2005** წლის 18 **ნოემბრიდან 2005** წლის **21 ნოემბრის 18 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70**
**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო,**
**სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება **2005** წლის 21 **ნოემბერს** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულემა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500** ლარის ოდენობით მათ სახელზე გამოგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაეცემა პრეტენდენტებს **2005 წლის 23 ნომბრიდან 2005 წლის 28 ნოემბრის 18 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 29 ნოემბრის დღის 16:00 საათი**. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე **2005 წლის 29 ნოემბრის დღის 16:00 საათზე**.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის წევრებს შოთა ჭანტურიძეს და ირაკლი ათანასოვს, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 23-51-17.

სატენდერო კომისია






ყურადღება!
რესტორანი
"დაკარგული სამოთხე"
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207